ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№4 (1514) 16-20 იანვარი, 1997 წელი

## ნუგზარ ფოფხაძე:
## პირველად ვამბობ საჯაროდ...

მეორე — მეათე გვერდი

## ჰალსტუხიანი ყაჩაღების მორიგი განაზრახი

მესამე გვერდი



## ნადარეიშვილზე სანქცია გაცემულია,
## არძინბას კი ბატონობით ველაპარაკებით



მეოთხე გვერდი

### XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
### ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“

**არაორდინალური რეკლამა**

„განდეგილის“ მწყემსი ქალის ხმაზედ
ნუთუ სკოლაში არვინ დაგიდის
ან და,
ანუ ძმა,
ან ნათესავი?
ან შვილი არ გყავს
ან შვილიშვილი
და თუ გყავს —
ცოდნით უსკდებათ თავი?
მოვა ზაფხული
და გამოცდისთვის
ნაცნობს თუ უცნობს
ნიშანს რომ ვედრი,
აგერ გაზეთი
და წააკითხე,
ან წაუკითხე

მეხუთე გვერდი!

## როცა ენას გვგლეჯდნენ...

სტენოგრაფიული ანგარიში
საქართველოს მწერალთა
ღია კრებისა
1978 წლის 11 აპრილი
კრების თავმჯდომარე —
ნ.დუმბაძე

მერვე გვერდი

## კაჭკაჭი ვარ...
## კვაჭი ვარ
## ანუ
## რა უნდა ამ კაცს
## პარლამენტში?!

მეცხრე გვერდი

## სახელმწიფო დაცვა პრეზიდენტს აბურით იცავს

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იყო ვინ?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## ნუგზარ ფოფხაძე: პირველად ვამბობ საჯაროდ...

**–დავუბრუნდეთ ისევ ე.წ. პატიაშვილ-ნიკოლსკი-ფოფხაძის გუნდს. თანხმობა იყო თუ არა თქვენს შორის, ხოლო თუ იყო უთანხმოება, რა საკითხებზე?..**

უკვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: მიზნად სრულებით არა მაქვს, ვინმეს რაიმე ვუმტკიცო–არის ფაქტები, არგუმენტები. ვიმედოვნებ, რომ გვყავს დაკვირვებული და ობიექტური მკითხველიც. ყველამ თავისი დასკვნა გამოიტანოს. ეჭვი არ მეპარება, იმასაც შეამჩნევენ, რომ არ გავურბივარ არც ერთ შეკითხვას–ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, ვცდილობ, დაწვრილებითი, ამომწურავი პასუხი გაგცეთ. როგორ ვახერხებ ამას, ისევ და ისევ მკითხველმა განსაჯოს. მთავარია, მას თავი არ მოვაბეზროთ, არის იმის საშიშროება, რომ ჩვენი დიალოგი მექსიკურ ან ბრაზილიურ ტელესერიალს დაემსგავსება..

**–არა, გთხოვთ ასევე განვაგრძოთ. რედაქციაში ბევრი რეკავს, მკითხველებს სწორედ ასეთი დაწვრილებითი საუბარი აინტერესებთ. უახლოეს დღეებში დამატებით შეკითხვებსაც გადმოგცემთ და, გთხოვთ, მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას...**

–თქვენ უკეთ იცით მკითხველის განწყობილება.

ახლა, რაც შეეხება მორიგი შეკითხვის არსს–რა თანხმობა-უთანხმოება იყო ე.წ. „ჩვენს გუნდში". საუბარი, ალბათ, ძირითადად, უნდა შეეხოს იმ პერიოდს, როცა მე ცკ-ს მდივანი და ბიუროს წევრი ვიყავი. მაგრამ მანამდე და პარალელურად მოგვიხდება მცირე ექსკურსის ჩატარება, ურომლისოდაც გამიჭირდება ობიექტური სურათის დახატვა.

„გუნდში" რომ სრული თანხმობა არ სუფევდა, ეს მაშინაც არ იყო დამალული ბიუროს წევრებისა და ცკ-ს აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა „ვიწრო წრისათვის". სუბიექტურსაც რომ თავი დავანებოთ, რომელიც, უწინარესად, ზნეობის, არსებული პოლიტიკური პრაქტიკის მორალურ ასპექტებში უნდა ვეძებოთ, ეს ობიექტური მიზეზითაც გახლდათ გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი II მდივანი ბ.ნიკოლსკი საერთოდ გონიერი და შინაგანად წესიერი კაცი გახლდათ (ეს მან მოსკოვში დაბრუნების შემდეგ უფრო გამოამჟღავნა, განსაკუთრებით საქართველოსადმი დამოკიდებულებაში), ის იმიტომაც იყო ცენტრიდან საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მეორე მდივნის გადამწყვეტ პოსტზე მოვლინებული, რომ გაეტარებინა სწორედ ცენტრის ხაზი–ეკეთებინა უშუალოდ მისთვის დავალებული და მინდობილი საქმე. ამიტომ მისი, როგორც ცენტრის ოფიციალური „თვალის და ყურის", სტრატეგიული მიზანი და ინტერესები ვერ დაემთხვეოდა „ეროვნული კომუნისტების" (ეს

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საქართველო" №70,71,72, 1996 წ. №1,2,3 1997 წ.



მუხრან მაჭავარიანის ტერმინია) –პატიაშვილის, ფოფხაძის და ზოგიერთი მათი კოლეგის საბოლოო „ქართულ მიზანს".

ამ ფონზე ბუნებრივი იქნებოდა, რომ „ქართული ფრთა" შეკრულიყო სწორედ პატიაშვილის–ცკ-ს პირველი მდივნის წინამძღოლობით და მას, ჩვენი დახმარებით, ჩვენი ხელშეწყობით, ჩვენი გამოყენებით–ტაქტით, სიფრთხილით, დიპლომატიით და ჭკუით მიეღწია იმისთვის, რომ ბ.ნიკოლსკის, ნებსით თუ უნებლიედ, „ეთამაშა" ჩვენი სტრატეგიული მიზნისათვის სასარგებლო როლი, ისე, როგორც ამას ახერხებდა ე.შევარდნაძე ადრინდელ „მეფისნაცვლებთან"–ჯერ გ.კოლბინთან და შემდეგ თვითონ ბ.ნიკოლსკისთან. ერთმა, ადრინდელმა მეორე მდივანმა ჩურკინმა „მოინდომა" ბინძური ხელებით ემართა საქართველო, ხოლო პირველი მდივანი–თავისი „ჭკუით" და... შერცხვენილ-განადგურებულს საქართველოს დატოვება მოუხდა.

პატიაშვილმა ასეთი „თამაში" არ მოინდომა.

**–არ მოინდომა თუ ვერ მოახერხა?**

–შეგნებულად არ ვამბობ, ვერ მოახერხა-მეთქი, იმიტომ, რომ შეეძლო ამის გაკეთება –პირველმდივნობის დასაწყისში, საქართველოს კომპარტიის მორიგ ყრილობაზე, ცკ-ს წევრების არჩევნებისას, მან ისეთი „ნომერი" ჩაუტარა ნიკოლსკის, რომ იგი იძულებული იყო თავისი „კუთვნილი" ადგილით დაკმაყოფილებულიყო, რის შემდეგაც ის უკვე ხაზგასმულად(!) აღიარებდა პატიაშვილის „ძალას" და პირველობას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პარტიულ იერარქიაში წლების მანძილზე პატიაშვილი ნიკოლსკიზე უფრო დაბალ საფეხურზე იდგა და ვალდებული იყო მისთვის მოეხსენებინა თავისი მუშაობის შედეგები, ნიკოლსკის მხრიდან მისი ასეთი „აღიარება" პატიაშვილის ნამდვილი მორალური ტრიუმფი გახლდათ.

„არ მოინდომას" ერთი მიზეზი, ეგებ, კოლეგებისადმი პატიაშვილის უნდობლობაც იყო–პოლიტიკაში ბოლომდე ნდობა საერთოდ ძნელი საქმეა, პრაქტიკულად– შეუძლებელიც. მით უმეტეს ისეთი ეჭვიანი კაცისთვის, როგორიც პატიაშვილია, რომელიც, როგორც ხელმძღვანელი, ჯერ კიდევ კომკავშირის პერიოდიდან, სწორედ ამ „ტრადიციაზე" იყო აღზრდილ-ჩამოყალიბებული. თანაც, მის პირველ მდივნად დანიშვნამდე ამ პოსტზე რეალური კონკურენტების არსებობა, ხაბეიშვილთან და სხვებთან უახლოესი წარსულის უკიდურესი დაპირისპირება და საკუთარი „გამოცდილება", მას, ალბათ, არწმუნებდა ამ „სტილის" უპირატესობაში.

ასე იყო თუ ისე, როცა მან გაინაღდა ნიკოლსკის ლოიალურობა, თვითონაც გულწრფელად ჩაბარდა მას „ტყვედ". ასეთი ურთიერთობა ორივეს აძლევდა ხელს. პატიაშვილი „მეფობდა", მაგრამ არ „მართავდა". ნიკოლსკი კი პირიქით – „მართავდა", პატივს კი მეორე მდივანს ისედაც ვინ დააკლებდა. გარეგნულად ყველაფერი პარტიისთვის ტრადიციულ ნორმაში იყო–გარეშე კაცს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ პატიაშვილის უნებართვოდ ნიკოლსკი ნაბიჯსაც არ დგამდა, თუმცა „ვიწრო წრემ" კარგად იცოდა, რომ მისი სიტყვა ცკ-ს აპარატში კი არა, ხელისუფლების ყველა ეშელონისათვის კანონი იყო.

და მიუხედავად ამისა, არაერთი ფაქტი შემიძლია დავასახელო იმის დასტურად, რომ „ქართული საქმე" მაინც კეთდებოდა, ოღონდაც სხვა მონდომებით, სხვა ტემპით და სხვა მასშტაბით. პატიაშვილი ამას ხელს არ უშლიდა, პირიქით, ზოგიერთი რამ სწორედ მისი ინიციატივით კეთდებოდა. ოღონდ ყოველთვის იტოვებდა უკან დასახევ გზას. არც ამას ვედავები. ამის მოტივაციაც ადვილად გასაგებია, მაგრამ ის, სამწუხაროდ, ბოლომდე არ ითვალისწინებდა. იმას, რომ მისი, როგორც საიმედო პარტნიორისა და ხელმძღვანელის, რეპუტაციას ვნებდა ასეთი „ეშმაკობა", კრიტიკულ მომენტში ხელქვეითთა თუ კოლეგების მარტო მიტოვება და გაწირვა, მათთვის დამაფიქრებელი და უარყოფითად „ჭკუის სასწავლებელი" იყო.

**–ასეთი „ეშმაკობის" დამადასტურებელი ფაქტები?..**

–რამდენიც გნებავთ.

...1988 წლის მაისის მეორე დეკადის ბოლო დღეები. რადიკალური ეროვნული მოძრაობა აზვირთებულია. ცკ-ს ხელმძღვანელობა საკმაოდ დაბნეულია. ოპოზიციასთან პრაქტიკულ კონტაქტებს „ტაბუ" აქვს დადებული. პატიაშვილის უარმა ეროვნული მოძრაობის ლიდერების მოთხოვნაზე, პირისპირ შეხვედროდნენ მას, ზ.გამსახურდია, მ.კოსტავა, გ.ჭანტურია და სხვები საშიმშილოდ დასვა. მიზანი: „26 მაისის" მასშტაბური აღნიშვნა–პირველად საბჭოური 70-წლიანი ისტორიის მანძილზე.

პატიაშვილი, მაშინდელი ცკ-ს იდეოლოგიის მდივანი გ.ენუქიძე და მე–გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი, შევთანხმდით, რომ ამ მოვლენასთან დაკავშირებით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება მოსკოვის ოფიციოზში თავის დროზე შერისხული ცნობილი ისტორიკოსის უ.სიდამონიძის სტატია. ვრცელი, გაბედული, იმ დროისთვის სრულიად ახლებური თვალთახედვის წერილი მომზადდა, ცკ-ს პროპაგანდის განყოფილებაში ნახეს, პატიაშვილმა და ენუქიძემაც წაიკითხეს. თითქოს ყველაფერი რიგზეა.

გამოქვეყნების წინა დღეს მოსკოვში მყოფ პატიაშვილს მაინც ვუკავშირდები. ჯერ ერთი– რამდენიმე დღეში ჩემს გადაყვანას აპირებენ ცკ-ს მდივნად და ყოველმხრივ ვალდებული ვარ, პრინციპული ხასიათის ნაბიჯები არა მარტო გავთვალო პოლიტიკური ვითარების პერსპექტივის შესაბამისად, არამედ პირველ მდივანსაც პირადად შევუთანხმო ის. და მეორე, „ეშმაკს არ სძინავს", ვინაიდან პატიაშვილის ბუნებას კარგად ვიცნობ, წარსულის „მწარე" პირადი პრაქტიკა მიკარნახებს, კიდევ ერთხელ შევამოწმო მისი პოზიცია და „დავიზღვიო" მხარდაჭერა.

მიუხედავად იმისა, რომ სტატია წინასწარ ჰქონდა წაკითხული, კიდევ ერთხელ გამომკითხა მისი ძირითადი დებულებები. დარწმუნდა რა მასალის დაბეჭდვის ჩემს გულწრფელ სურვილში, მომცა საბოლოო თანხმობა. ამ საუბრის შესახებ ცკ-ს იდეოლოგიის მდივანსაც ვაცნობე. „პირველის" თანხმობის შემდეგ, მეტისმეტად ფრთხილ და წინდახედულ ენუქიძეს სხვა აზრი აბა როგორ ექნებოდა?..

სტატია გამოქვეყნდა. საზოგადოებრივი აზრი სასიამოვნოდ გაოცებულია, რეაქცია –აშკარად დადებითი, ცკ-ს, მისი პირველი მდივნის და „კომუნისტის" სასარგებლოდ.

იმავ საღამოს პატიაშვილი მოსკოვიდან უნდა დაბრუნდეს. მის ზარს ველი. საღამოს ათ საათზე ცკ-დან მირეკავენ და ბიუროს სხდომაზე სასწრაფოდ მიწვევენ. მსგავსი ზარი ადრეც არაერთხელ ყოფილა, ამიტომ ესეც ჩვეულებრივ მოვლენად ჩავთვალე, მით უმეტეს, ორ დღეში ცკ-ს პლენუმია, რომელზედაც უნდა მოხდეს ჩემი „კურთხევა". იმასაც ვფიქრობ, რომ ეს მოულოდნელი ბიუროც პლენუმთან არის დაკავშირებული. შეუძლოდ კი ვიყავი, მაგრამ ხელმძღვანელობას დაუყოვნებლივ ვეახლე. ბიუროს წევრთა უმრავლესობა იქ არის. შესვლისთანავე, იმათ სახეებს თვალი რომ შევავლე, უმალ გუმანით ვიგრძენი, რომ აქ „მოსაფერებლად" და „მადლობის სათქმელად" არა ვარ დაძახებული.

პატიაშვილმა დამინახა თუ არა, ბიუროს წევრებს რუსულად მიმართა: აი, დღევანდელი „გმირიც" მობრძანდა! კაცს ორ დღეში ცკ-ს მდივნად ვირჩევთ, მან კი ასეთი პროვოკაცია მოგვიწყო. როგორ შეიძლებოდა ამ სტატიის დაბეჭდვა, რას ვეთამაშებით ამ არაფორმალებს, როდემდე უნდა გვქონდეს ასეთი უმწიფარი პოზიციაო და... ერთი სიტყვით, „გახურდა".

ეტყობა, შესაფერისი გამომეტყველება გამომეხატა. ვიქტორია სირაძე, პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ბრძენი და ჩემდამი ერთობ კეთილად განწყობილი ქალბატონი, სხვების შეუმჩნევლად, ტუჩებზე თითის მიდებით მანიშნებს, ხმა არ ამოიღოო. უკვე ყველაფერი ნათელია! მაგრამ ამის „გადაყლაპვა" არ ძალმიძს. დავასაბუთე ამ სტატიის გამოქვეყნების აუცილებლობა, მშვიდად, მაგრამ მტკიცედ მოვითხოვე აეხსნათ, თუ რას მედავებოდნენ, რა არ მოეწონათ ამ პუბლიკაციაში, რა ნიშნებით აფასებენ „ჩემს" ამ ნაბიჯს პროვოკაციად.

პასუხად–ელემენტარული დემაგოგია. მე დაჟინებით ვითხოვ განმარტებას, შეკითხვით მივმართავ ენუქიძესაც და ამით·მივანიშნებ, ხმა ამოიღოს. პატიაშვილი ხვდება, რომ გამჩერებელი არა ვარ, შეიძლება „ისიც" წამომცდეს და, ახლა ენუქიძეს „აწვება", უსაყვედურა, რატომ მკაცრად არ აკონტროლებს გაზეთს და არ ალაგმავს ასეთ „ინიციატივებს". ენუქიძე გრძნობს მის „ბოსტანში რატომ ისვრიან კენჭებს", რა თქმა უნდა, იცის ყველაფერი, ისიც, რომ ორ დღეში მის ადგილზე უნდა დამნიშნონ, მაგრამ ეს ტონალობა ცკ-დან წასვლის

გაგრძელება მე–10 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახელმწიფო დაცვა პრეზიდენტს აგურით იცავს

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის კარგად ინფორმირებული წყაროდან გახდა ცნობილი, კ.მარჯანიშვილის სახ. თეატრი გუშინ დილიდან საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ეს გამოწვეულია იმით, რომ დღეს თეატრში შედგება დოსტოევსკის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის „მარადი ქმარი“ პრემიერა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ე.შევარდნაძე უნდა დაესწროს. თეატრის შენობაზე გაძლიერებული მეთვალყურეობა დაწესდა მას შემდეგ, რაც 15 იანვარს, გამთენიისას, შენობის სახურავზე დაცვამ შენიშნა უცნობი პირი, რომელსაც აგურით ხელში გაექცა. ოპერატიული ჯგუფის მოსვლამდე უცნობმა მოახერხა მიმალვა. გაურკვეველია, იყო თუ არა შემთხვევითი თეატრის სახურავზე უცნობი პირის ყოფნა. (იფრინდა)

## თურქეთისადმი ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 35 მლნ $-ს გადააჭარბა

დღეს, სახელმწიფო მინისტრის ნ.ლეკიშვილის ხელმძღვანელობით გამართულ სამუშაო სხდომაზე აღინიშნა, რომ თურქეთისადმი ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 35 მლნ. $ გადააჭარბა. იმ რვა ორგანიზაციიდან, რომელთაც თურქული კრედიტით ისარგებლეს, უმრავლესობას ვალის დაფარვის ვადა 1996 წელს დაუმთავრდა. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, ეკონომიკურ საბჭოზე განსახილველად აუცილებელია მომზადდეს დეტალური ინფორმაცია აღნიშნული ორგანიზაციების შესაძლებლობებისა და გადახდისუნარიანობის შესახებ. (იფრინდა)

## ზ.ჟვანიამ დაათვალიერა უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმები

როგორც სააგენტოს კორესპონდენტს უშიშროების სამინისტროს პრეს-ცენტრიდან აცნობეს, 14 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავ-რე ზ.ჟვანია და უშიშროების მინისტრი შ.კვირაია ეწვივნენ უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმების „დელტა“, „ომეგა“ და „ალფა“ მებრძოლებს. სტუმრები ადგილზე გაეცნენ მებრძოლთა სწავლისა და ცხოვრების პირობებს, დაათვალიერეს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი რადიოდაზვერვის ცენტრი. ზ.ჟვანიამ მაღალი შეფასება მისცა აღნიშნული რაზმების საბრძოლო მზადყოფნას და მებრძოლებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. მანვე გამოთქვა მოსაზრება, ახლად ჩამოყალიბებულ სპეც-დანიშნულების რაზმის „სატურნი“ მებრძოლების უახლოეს მომავალში მოსანახულებლად. (იფრინდა)

*საბაჟოს „გენიალური“ გადაწყვეტილება მიუღია.*

*თუ გინდათ საქართველოში რუსული ავტომანქანების შემოყვანა, გადაიხდით ღირებულების 15%-ს, ხოლო უცხოური მანქანის შემოყვანისას გადაგაშლეპენ ღირებულების 65%-ს, ანუ საქართველოს ბაზარი (მოგეხსენებათ მსუბუქ ავტომანქანებს ჩვენს ქვეყანაში არ აწარმოებენ) ერთი ხელის მოსმით ბარდება რუსეთს ხლამი პროდუქციის გასასაღებლად.*

*კიდევ მეტიც, ავტომანქანის ღირებულებას შეგიფასებთ თვით მებაჟე და ღირებულების 15 ან 65 პროცენტიც აქედან გამოკვარახჭინდება.*

*ამ პრობლემებზე იხილეთ ბატონ კობა კიკნაძის ქვემოთწარმოდგენილი . წერილი.*



# ჰალსტუხიანი ყაჩაღების მორიგი განაზრახი

როგორც ყოვლადბრძენმა ო.ი.ბენდერმა ბრძანა, ავტომობილი ფუფუნების საგანი კი არა, გადაადგილების საშუალება ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ილფის და პეტროვის „მცდელობამ“, დაეყვანათ ეს აქსიომატური აზრი საბჭოელ პარტფუნქციონერთა მრავალმილიონიანი არმიის აღქმის დონემდე, ფიასკო განიცადა და დარჩა ოსტაპის ნასროლი ფრაზა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, ავტომოყვარულთა რიგები განუხრელად იზრდებოდა ხმელეთის იმ ერთ მეექვსედ ნაწილზე, რომელიც დანარჩენი ხუთი მეექვსედისაგან „რკინის ფარდით“ იყო გამიჯნული. ამ მხრივ არც ქართველი ავტომოყვარულები ჩამორჩებოდნენ თავიანთ „დიდ ძმებს“ და მიუხედავად არჩევნის სიმწირისა, რაც ქვეყანაში არსებული მანქანების ოთხად-ოთხი მარკით შემოიფარგლებოდა - ისინი ამ კეთილშობილური ძმობის ავანგარდსაც კი წარმოადგენდნენ.



იცვლებოდა ცხოვრება, რასაკვირველია, უკეთესისაკენ, იცვლებოდა დამოკიდებულება ავტომანქანების მიმართ. იცვლებოდნენ ბელადები, მათი ძეგლები ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში და სულ უფრო მკვეთრად დგებოდა მანქანის აუცილებლობის პრობლემა ყოველი ოჯახის წინაშე. რკინის ფარდა ისტორიის საკუჭნაომ ჩაიბარა, მოვიდა ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გუშინდელი „უფროსი ძმა“ დღეს უკვე ახლო საზღვარგარეთი გახდა, მაგრამ რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ამ ფაქტმა დიდი არევ-დარევა გამოიწვია ავტომოყვარულთა რიგებში. რესპუბლიკის მოსახლეობა ორ ბანაკად გაიყო: პირველნი, რომლებიც ძველი, გამოცდილი საბჭოური მოდელების ერთგულნი დარჩნენ და მეორენი, ვისაც ევროპული და ამერიკული მოდელებისაკენ გაუწიათ გულმა. აჭრელდა რესპუბლიკის ავტოპარკი. სულ უფრო მეტი და მეტი მოყვარული ეშურებოდა ევროპის გზებს და ბილიკებს კიდევ ერთი უცხოური მოდელის მანქანის ჩამოსაყვანად. ამ პროცესმა იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ საბჭოური მოდელების „თაყვანისმცემელთა“ ჯგუფი კატასტროფული სისწრაფით შემცირდა, ისევე როგორც რესპუბლიკაში შემოყვანილი რუსული მანქანების რაოდენობა. ამას ხელი შეუწყო რუსეთში მიმდინარე პროცესიდან გამომდინარე ორმა ფაქტორმა: მანქანებზე ფასების კატასტროფულად ზრდამ და რუსეთ-საქართველოს ტრანზიტის შესაძლებლობის გართულებამ, რაც იმიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებმაც განაპირობეს.

დღეს რუსული წარმოების ახალი ავტომობილების შეძენა ქართველ მოყვარულთა უმრავლესობისათვის შეუძლებელ ფუფუნებას წარმოადგენს, რადგანაც მათი საშუალო ფასი (ჟიგული) რუსეთის ბაზრებზე 5.000$-დან 9.000$-მდე მერყეობს. რაც შეეხება ნახმარ მანქანებს, მათი ჩამოყვანის შესაძლებლობა თითქმის მთლიანად გამორიცხულია იმ პატარა მიზეზის გამო, რომ მათი ფასი რუსეთის ბაზრებზე გაცილებით მაღალია, ვიდრე იგივე ასაკის მოდელისა საქართველოში.

დავუშვათ შეიძინა ქართველმა ავტომოყვარულმა მანქანა რუსეთში. ამის შემდეგ იწყება პრობლემათა მთელი სერია, რომლებიც ერთმანეთში ისე არიან ჩახლართულნი, რომ თვით „სანტა-ბარბარას“ სცენარის შემქმნელ დობსონების წყვილსაც კი შეშურდება. აი, ზოგიერთი მათგანი: ფაქტობრივად რუსეთიდან საქართველოში მანქანის ჩამოყვანის ორი, საჰაერო და ავტოსატრანსპორტო გზა არსებობს. საჰაერო გზით მანქანის ჩამოყვანა დიდ ფინანსურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული იმდენად, რამდენადაც მარტო ერთი მანქანის პატრონი თვითმფრინავს არ დაიქირავებს, ხოლო 1500$-2000$ გადახდა მანქანის ჩამოსატანად ყველას არ შეუძლია. რაც შეეხება ავტოსატრანსპორტო გზას, ასეთი მარშრუტი დღევანდელ რეალობაში მხოლოდ სამია შესაძლებელი: მოსკოვი-ვლადიკავკაზი-თბილისი, მოსკოვი-ცხინვალი-თბილისი და მოსკოვი-ბაქო-თბილისი. რომელს აირჩევდა ჩვენი ავტომოყვარული, ამის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია. ისე კი ინფორმაციისათვის მოგახსენებთ, რომ ისეთი რეგიონების გავლით ტრანზიტულნომრებიანი მანქანით, ანუ მანქანით, რომელიც ფაქტობრივად დედამიწის ზურგზე არსად არ დგას აღრიცხვაზე, როგორებიც ჩეჩნეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და სამხრეთ და ჩრდილო ოსეთია, იარაღით რუსული რულეტის თამაშისაგან დიდად არ განსხვავდება. თუ ღმერთმა ინება და ჩვენი თანამემამულე შინ მშვიდობით დაბრუნდა, მის საფულეს 1000$-მდე თანხა მაინც დააკლდება. ამ ფაქტში უდავოდ მოსკოვ-თბილისის ტრასაზე განლაგებული პოლიცია-მილიციის „ტეკების“ მეფური წილი იდება. ამას დავამატებდი იმ ფაქტსაც, რომ ხშირად თბილისში ჩამოყვანილ მანქანას არასუფთა წარსული და პირველი ნამდვილი პატრონი აღმოაჩნდება ხოლმე და ნათელი გახდება, რომ როგორც ერთი ქართული ფილმის ცნობილი გმირები აღნიშნავენ, ასე ჩვენ ვერ გავფრინდებით.

ასეთ პირობებში მოხდა ავტომოყვარულთა მზერის ევროპის ქვეყნებისაკენ მიპყრობა. მით უმეტეს, რომ გვარიანად ეკონომიკაშელახული ქვეყნის (უფრო ზუსტად რომ აღვნიშნოთ, ქვეყნის, რომელსაც ეკონომიკა, რასაკვირველია, საკუთარი არცკი გააჩნდა) ასევე გვარიანად ჯიბეშელახული მოქალაქეებისათვის უკეთესი ანუ უიაფესი ვარიანტის მოძებნა შეუძლებელი იყო (როგორც მოგეხსენებათ, ქართული მანქანათმშენებლობა ქუთაისის ავტოქარხნის ნაწარმით შემოიფარგლებოდა, რომელსაც ავტომოყვარულმა ოხუნჯებმა „მოფერებით“ შინმოუსვლელი შეარქვეს)

რით არის მოხერხებული ევროპაში მანქანების შესაძენად წასვლა? უპირველეს ყოვლისა, სიიაფით და უსაფრთხოებით. გერმანიის, ჰოლანდიის, ბელგიისა და სხვა ევროპული ქვეყნების ბაზრებზე შეიძლება შეიძინოთ არცთუ ურიგო მდგომარეობაში მყოფი 6-8 წლის მანქანა 1500-2000$ ფარგლებში, რომელსაც საველი და კომფორტული თვისება-მაჩვენებლებით რუსული მოდელები, რასაკვირველია, ვერ შეედრებიან. ხოლო რაც შეეხება გამძლეობას, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამ თანხას დავუმატოთ აქეთ-იქით მგზავრობისათვის საკმარისი 1000-1500$ (შესაძლებელია, ევროპიდან ბათუმამდე, ფოთამდე, სტამბულამდე საბორნე გზებით სარგებლობა, რაც გაცილებით პრაქტიკულ გზას წარმოადგენს) და აღმოჩნდება, რომ 3000$-3500$-ით შეიძლება ნორმალური მანქანის ბედნიერი მფლობელი გახდე.

მერე? იტყვის, ალბათ, მკითხველი - მობურთალსაც მოედანიო და მართალი (მომიტევეთ) არ იქნება, რადგან საბაჟო დეპარტამენტის მესვეურებმა გაითვალისწინეს რა მანქანების იმპორტში არსებული „უსამართლო“ მდგომარეობა, დაიწყეს ეტაპობრივი მოდიფიცირება მანქანების განბაჟების წესებისა, რაც სულ უფრო და უფრო მზარდ საბაჟო გადასახადში გამოიხატა. ყველაზე უფრო პარადოქსული კი ის არის, რომ ამ ღონისძიებათა ძირითადი ნაწილი რატომღაც ევროპიდან შემოყვანილ მანქანებს შეეხო. რა შეიძლება გამოიწვიოს არსებულმა და მოსალოდნელმა ცვლილებებმა, ნათელია, თუკი საბაჟო გადასახადის წყალობით ევროპიდან შემოსულ მანქანათა ღირებულება ახალი რუსული მოდელების ღირებულებას გაუტოლდება ან გადააჭარბებს (რაც ავტომატურად შიდა ბაზარზე ნახმარი ევროპული მოდელების ფასს ერთი ორად ასწევს, ე.ი. იზარალებს ისევ რიგითი მოქალაქის ჯიბე). თავისთავად გაიზრდება ინტერესი და შესაბამისად იმპორტი რუსული მოდელებისა ქართულ ბაზარზე (რომლებითაც დიდი ხანია თურქეთის გარდა სერიოზულად არც ერთი ევროპული ქვეყანა აღარ ინტერესდება). რითაც, რასაკვირველია, რუსეთის ეკონომიკა გვარიანად იხეირებს. ჩვენ კი ვიხეირებთ? ვისთვის არის საჭირო რუსეთის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობაზე ესოდენ გულისამაჩუყებელი ზრუნვა, ჩემთვის ძალიან საინტერესოა. ნაცნობია კი ის აზრი, რაც ზემოთაღნიშნული ფაქტებიდან შეიძლება გამოვიტანოთ.

დიახ, მეგობრებო, როგორც ბებერმა რაბინმა გასძახა სააღდგომო სუფრაზე სურნელოვანი პასკისკენ ხელგაწვდილ ახალგაზრდებს: „ხელი პასკას - პური სჭამეთ“ ძვირფასო ავტომოყვარულებო.

უღრმესი პატივისცემით

კ.კიკნაძე



# ნადარეიშვილზე სანქცია გაცემულია, არძინბას კი ბატონობით ველაპარაკებით



ბოლო 4 წლის განმავლობაში (არასრული მონაცემებით) საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის დასაბრუნებელმა თანხამ ერთი მილიარდ 223 მილიონ 23 ათასი დოლარი შეადგინა, ხოლო სნგ-ს ქვეყნებისათვის 587 მილიონ 96 ათასი დოლარი, რომელთა უდიდესი ნაწილი უყაირათოდ დაიხარჯა, ან განიავდა და მომავალ თაობას თავშისაცემად გადაეცა. ვიყოთ გულახდილნი და პირდაპირ ვთქვათ, თუნდაც ასეთი ვალის პირობებშიც ცხოვრების დონე კი არ უმჯობესდება, არამედ უარესდება კიდეც და როგორც პრეზიდენტმა ბრძანა, „ხალხი ბიბლიური იობის მოთმინებით იტანს კრიზისს, გაჭირვებას“. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაბრუებულია და სულ იმის ფიქრშია, სადმე დასაქმდეს, როგორმე ლუკმა-პურით უზრუნველყოს ოჯახი, ყველგან და ყველაფერში გრძნობს კანონის დატყვევებას, განუკითხაობას, მოშლილ ეკონომიკას და ა.შ.

სტატისტიკური ოფიციალური მონაცემებით, 1996 წელს საქართველოში არ მუშაობდა 688 (ანუ საერთო რიცხვის მესამედი) სამრეწველო საწარმო, მათგან 347-ს ანუ 15 პროცენტს საერთოდ არ უმუშავნია; მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებულია 100 ლარის პროდუქცია, რაც 1990 წლის ფაქტიური დონის 16%-ს შეადგენს. ძირითადი სახეობის პროდუქციიდან (105) 1995 წელთან შედარებით წარმოების ზრდა აღინიშნა 36 სახეობის პროდუქციაში, ხოლო 69 სახეობაში შემცირდა, მათ შორის, 16 სახეობის პროდუქცია საერთოდ არ წარმოებულა. ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა სასურსათო პროდუქციის გამოშვების საქმეში 1996 წელს, ისედაც მცირე 1995 წლის ფაქტიურ დონესთან შედარებითაც, მიღებულია 6 მლნ. 800 ათასი ცალი კვერცხით ნაკლები, რძის პროდუქტი რძეზე გადაანგარიშებით თითქმის 260 ტონით ნაკლები. ასევე საგრძნობლად შემცირდა სხვა აუცილებელი პროდუქციის გამოშვებაც. კერძოდ, კარაქი 1996 წ. ნოემბრის მდგომარეობით მიღწეულთან შედარებით ნაწარმოებია მხოლოდ 56,2 პროცენტის დონეზე, ყველი 51,7; ხორცი – I კატეგორიის სუპროდუქტების ჩათვლით – 45,0; მაკარონის ნაწარმი – 15.0; ხორბლის ფქვილი – 63,5; ბურღული – 28,2; ხილბოსტნეულის კონსერვი – 23,5; ყურძნის ღვინო – 51,3. მართალია, მრეწველობაში წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი მიღწეულია 6,9%-ით, მაგრამ იგი ძირითადად განპირობებულია სათბობის, ფერადი მეტალურგიის, ქიმიური და ნავთობქიმიური, პოლიგრაფიული, ნატურალური ტყავის, ბეწვეულის წარმოების ზრდის ტემპებით, ხოლო მოსახლეობა ყოველდღიური სასიცოცხლო პროდუქციის გამოშვებით არ არის უზრუნველყოფილი და ამიტომ ვისაც საშუალება გააჩნია, მისძალებია ბაზრობებს, სადაც გამოფენილია უცხოური ნაწარმი და ისიც მეტწილად უხარისხოა, და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვარგისი.

ეკონომიკაზე იმიტომ გავამახვილე თქვენი ყურადღება, რომ მისი „გაცოცხლების“ გარეშე შეუძლებელია ადამიანის ყოფიერების გაჯანსაღება. ყველა ადამიანი მიელტვის ბედნიერებას, უკლებლივ ყველა. მათი საშუალებები სხვადასხვაა, მიზანი კი – ერთი. არ ახალია, რომ ადამიანის ბედნიერებაც მის შრომით დასაქმებაშია. დღეს კი ოფიციალური მონაცემებით რეგისტრირებული უმუშევრობის რიცხოვნობა 1996 წ. ნოემბრის მდგომარეობით შეადგენდა 85,4%-ს, ხოლო 2/3-ის (65,4%)-ის შემოსავლები სიღარიბის ზღვარზეა მისული. ასეთ დროს წინა წლებთან შედარებით, აგრარულ ბაზრებში კატასტროფულად გაიზარდა ფასები: ლობიოზე 53,9%-ით, კომბოსტოზე – 29,7-ით, ძროხის ხორცზე 110,3%-ით, ღორის ხორცზე – 16,7, ფრინველზე 10,4, რძეზე – 61,8, ყველზე – 24,6, ხილზე 22,3 და ა.შ.

შესაძლოა იკითხოთ, აბა რითი ვცხოვრობთ? გეტყვით: ყიდის, ბატონო, ეს ადამიანი ყველაფერს, რაც თუ შეუძენია იმ შორეულ წარსულში და სუყველაფერი რომ გამოელევა, მერე რა ქნას? უნდა იშრომოს, მაგრამ სად? ვაჭრობა ყველას ხომ არ შეუძლია. ერთი სიტყვით, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას, მაგრამ ადამიანი იმედით ცხოვრობს და შეუძლებელს აკეთებს გადარჩენისთვის.

ეკონომიკის ასეთი ვარდნის პარალელურად, ჩვენდა საუბედუროდ, მომრავლდნენ ცრუ პოლიტიკოსებიც და ისეთი მორალური ატრიბუტი, როგორიცაა ეროვნული, ზნეობრივი სიწმინდე, საერთოდ უსარგებლო გახდა. ვინც გასული წლის დეკემბერში უყურა მოსკოვის ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში 15 წლის ჩეჩენი მეომრის გამოსვლას, ნამდვილად აღშფოთდებოდა. ჟურნალისტის კითხვაზე, ხომ არ ეშინოდა ომში მონაწილეობა, პასუხობს: „რატომ უნდა მშინებოდა, რა, მე ქართველი ხომ არ ვარ“-ო! ან თუ გნებავთ პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე, რუსეთის დუმის ქვედა პალატის სპიკერის, სელეზნიოვის გამოსვლა – საქართველოსთან მიმართებაში – შემზარავი იყო. მოგვიანებით კი, ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის თავჯდომარე ქალბატონი ლანა ღოღობერიძე იტყვის: „რომ გვცოდნოდა სელეზნიოვის გამოსვლის შინაარსი, მის ტრიბუნაზე ასვლას არ დავუშვებდით“ (გაზეთი „7 დღე“, №51 1996 წ.). დალოცვილებო, „საქართველოს ბედნიერებისთვის ლოცვით მუხლგადაღლეტილი კაცის“ სიტყვის მოსმენის შემდეგაც ხომ შეგეძლოთ ოვაციითა და ტაშით არ დაგეჯილდოვებინათ? რა თქმა უნდა, შეგეძლოთ და მოვალენიც იყავით. ადამიანი, რომელიც იბრძვის თავისი ქვეყნის ნამდვილი თავისუფლებისათვის, ნორმალურია და როცა არ იბრძვი არაფრისთვის, ეგუები ნებით თუ უნებლიეთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვას და ერის შეურაცხმყოფელ გამოსვლას ტაშით აჯილდოებ, მაშინ ასეთი ადამიანი მიდის სულიერ და ხორციელ გახრწნამდე, ხოლო ხვალ და ზეგ მეომრადაც აღარ ივარგებს. ყველანი კარგად ვამჩნევთ, რომ დღეს ქართველი კაცის ზომბირება ხდება. გვაშინებენ, რომ, აი, რუსი მაინც მოგვერევა. არა, ბატონებო, რუსეთთან ომი ნამდვილად არ გვინდა. იმიტომ კი არა, რომ უძლეველია, არამედ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ომი საერთოდ არავისთან არ გვინდა, თუკი მან არ შებილწა შენი ერი, სარწმუნოება, თავმოყვარეობა, ოჯახი, წინაპართა საფლავები, და არ მიიტაცა მამა-პაპათა დანატოვარი. სხვათაშორის, ჩეჩნებმა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენზე გაცილებით ნაკლებნი არიან, დაამტკიცეს ეროვნული შემართება და ის, რომ შეუძლებელია სამშობლოსთვის თავგადადებული ხალხის დაჩოქება. მაშ, რა ხდება ჩვენში, ნუთუ დავიწყებას მიეცა ის სიმწარე, დამცირება, რომელიც ჩვენს ქვეყანას ერგო, რის გამოც ჯერჯერობით ხელიდან გამოგვეცალა საქართველოს ძირძველი მიწა: აფხაზეთი და სამაჩაბლო. და კიდევ ვინ იცის, სად რა იგეგმება და იხვეწება. ასეთ დროს ხელისუფლებას მერყევი პოზიცია უჭირავს, ისიც საკითხავია, რატომ არ აქტიურობს ინტელიგენცია, ქართველი მეცნიერი, მწერალი, ერის სულიერი მამა და ნებისმიერი საზოგადო მოღვაწე?

საქართველოს ისტორიას ბევრი ავბედითი დღე ახსოვს, მაგრამ სულიერი მოძღვარნი არასოდეს არ დუმდნენ, პირიქით, ეძებდნენ გზას გადარჩენისა, გზას გამარჯვებისა. ავიღოთ თუნდაც გასული საუკუნის მეორე ნახევარი – ქვეყანას რომ არ მოვლენოდა დიდი ილია ჭავჭავაძე, ჩვენს ისტორიას წერტილი დაესმებოდა. მან შეძლო შეუძლებელი ქართული სულის გადასარჩენად, იგი ნაბიჯ-ნაბიჯ აღვივებდა ეროვნულ ცნობიერებას, მით უფრო, რომ ჩამკვდარი იყო სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური აზროვნება. დღეს კი რა ხდება? ზოგიერთი გამონაკლისის გარდა დუმილს ამჯობინებენ. მთელმა საზოგადოებამ უნდა გაითავისოს სამშობლოს წუხილი, იმ ქართველი დედის უბედურება, რომელიც ისე რიგად დაცემულა – საკუთარ შვილს ჰყიდის, მართლაც, სადა ჰყავს საქართველოს დასაკარგი შვილი!

ბატონებო! ღირსებად არვის ჩაეთვლება საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა, ჩვენი ხალხი ყოველთვის გამოირჩეოდა სიმამაცითა და სამშობლოს სიყვარულით, ხოლო ასეთნაირად შემართულ ხალხს კი არ გაუჭირდება თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. ამიტომ დიდმა და პატარამ უნდა გაითავისოს, რომ დღეს მთავარია სამშობლო და გვახსოვდეს, ცხოვრება ფასდება არა მისი სიგრძით, არამედ შინაარსით. რა დააშავა დღეს ხალხმა, რომ ნელ-ნელა გეგმიურად სულს უხუთავენ ისედაც შიმშილით სულშეხუთულებს? ეს ხდება იმიტომ, რომ ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზე არ დგას, ამიტომაც უნდა გაისიგრძეგანონ მარადიული კანონების მოქმედების გარდუვალობა, ჩანაცვლება განხორციელდეს უმტკივნეულოდ, დაუყოვნებლივ, და გზა მისცენ ეროვნული სულისკვეთების ახალ თაობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულერთია, ცხოვრება მაინც თავისას გაიტანს და რეალობა კორექტირებას მაინც გაუკეთებს ყველა გეგმას და იმათ, ვისაც დღეს „ვაშას“ უძღვნიან, ხვალ შეიძლება „ჯვარს“ აცვან, რადგან ტყუილსა და სიცრუეს ქვეყნისათვის ზიანი და ვნება მოაქვს.

დიახ! გზა უნდა მისცენ ეროვნულ ახალგაზრდობას და შენაცვლება უნდა მოხდეს უმტკივნეულოდ. იქნებ ზოგიერთებმა გაიფიქრონ კიდეც, საქართველოს დღეს არ ჰყავს მათი შემცვლელი. ასეთებს ვეტყვი, რატომ ხართ დარწმუნებულნი, რომ მათი წასვლისთანავე ეს პიროვნებები არ გამოჩნდებიან? შეიძლება ის დღეს სპეციალურად არ ჩანს, თუნდაც იმიტომ, რომ არ მოიშორონ სხვადასხვა მიზეზით და საპყრობილეში არ ამოაყოფინონ თავი. ამასთან დაკავშირებით აი რას ამბობს წინა პარლამენტის ყოფილი სპიკერი, პარლამენტარი ბატონი ვგოგუაძე:

– „ჩვენს ქვეყანაში ახლა არის დიქტატურა. ამ პირობებში ქვეყანა სიკვდილით დასჯის კანონს მარჯვედ გამოიყენებს იმ პირთა მიმართ, რომელიც ნერვებს უშლის ხელისუფლებას. ნერვების მოშლა კი შეიძლება გამოიწვიოს ერთმა – ორმა მწარე გამოთქმამ, რაც შეიძლება დახვრეტის საბაბი გახდეს... მწარე სიმართლეზე ლაპარაკი არ არის კარგი ტონი, შეთითხნიან რაღაცა სისულელეს, და ამტკიცე, რომ აბსურდი აბსურდიაო... ზოგი განსასჯელი, რომელიც ეხლა მკაცრ განაჩენს ელოდება, სწორედ პოლიტიკური პატიმარია“.

(გაზეთი „შანსი“ №104, 1996 წ.)

თითოეული ეს სიტყვა კონკრეტულად ესადაგება ბატონ ი.სურგულაძის მიმართ გატარებულ ქმედებას. განა რა, სასამართლომ (დიდუბის რ-ნი, ბ-ნი ი.ხურციძე) არ იცოდა, რომ სამშობლოს სიყვარულისთვის გულანთებული პატრიოტი, ღრმად განათლებული, უპატიოსნესი ი.სურგულაძე არ იყო კრიმინალი, არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია და მაინც გაასამართლეს სისხლის სამართლის კოდექსით და მიუსაჯეს 21 თვით პატიმრობა? მერე და რისთვის? იმისთვის, რომ ამ კაცს უზომოდ უყვარდა თავისი ქვეყანა, ხალხი და ცალკეულად თითოეული პიროვნება? იგი ხომ ღიად, დაუფარავად გამოთქვამდა პროტესტს ჩვენში არსებული უმსგავსოების წინაამდეგ. ჩემის ღრმა რწმენით, იგი იყო პოლიტპატიმარი, გნებავთ, სინდისის პატიმარი და არა სს დამნაშავე და არც სამხედრო ტყვე. ხოლო ისეთ პიროვნებას, როგორიცაა არძინბა, რომელმაც ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ შეებილწა ქართული ოჯახი, საფლავებ-სალოცავები და

გაგრძელება მე-12 გვ.

## მშვიდობიანი მოლაპარაკება, თუ პარტიზანული მოძრაობა

გუშინ აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის თავმჯდომარემ მ.ბერიამ პრეს-კონფერენცია გამართა. გაკეთდა აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება, რომელშიც კავშირი პროტესტს გამოთქვამს რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ძალების“ კონფლიქტის ზონაში (ნებისმიერი მანდატით) დატოვების მცდელობის გამო და კატეგორიულად მოითხოვს: საქართველოს პრეზიდენტმა დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა სამიტზე დასვას „სამშვიდობო ოპერაციის“ შეწყვეტისა და კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხი. მ.ბერიას შეურაცხმყოფელად მიაჩნია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ბოლოდროინდელი მოლაპარაკებები გუდაუთის ფაშისტური რეჟიმის ლიდერებთან და თვლის, რომ საჭიროა პირდაპირ, შუამავლის გარეშე გასვლა მოლაპარაკებაზე აფხაზი ხალხის იმ ნაწილთან, რომელსაც ხელი არა აქვს სისხლში გასვრილი. განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მიაჩვიოს საზოგადოება საქართველო-აფხაზეთს – ორ თანასწორუფლებიან სუბიექტს შორის კონფედერაციული ურთიერთობების დამყარების პერსპექტივას. კავშირმა დააფიქსირა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება გალის რ-ში დევნილთა შესაძლო დაბრუნებისადმი. მ.ბერიას თქმით, თუ საქართველოს ხელისუფლებას არ შესწევს ამ საკითხის პოლიტიკურად გადაჭრის უნარი, მომავალში დევნილმა მოსახლეობამ თავის თავზე უნდა აიღოს პრობლემის მოგვარება და დაიწყოს მასიური პარტიზანული მოძრაობა. (იფრინდა)

## მამა-შვილი ანთიძენი დრანდის ციხეში იმყოფებიან

გალის რაიონის სოფელ ხუმუშკურის მკვიდრნი, მამა-შვილი ანთიძენი უკვე მესამე თვეა აფხაზთა ტყვეობაში იმყოფებიან. ვერ ხერხდება მათი გამოხსნა. უკანასკნელი, მაგრამ დაუზუსტებელი მონაცემებით, ისინი ამჟამად დრანდის ციხეში იმყოფებიან. (იბერია)

## მინისტრთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრესცენტრის ცნობით 14 იანვარს გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია.

სხდომაზე განიხილეს მინისტრთა საბჭოს 1996 წლის მუშაობის წლიური ანგარიში. აგრეთვე განხილული იქნა მინისტრთა საბჭოს სტრუქტურისა და რეგლამენტის პროექტები. მოწონებული იქნა აზრი საინფორმაციო ბიულეტენის გამოშვების თაობაზე, რომელიც კვარტალში ერთხელ გამოვა. (იბერია)

## XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# ლეო ქიაჩელი

# „თავადის ქალი მაია“

## (განხილვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

„შავი ზღვის მიმართულებით, ერგეტას გზაზე, სამეგრელოში, მარიამობისთვის შუადღის სიცხეში, გადაფარდაგებული ურემი მიჭრიალებს“.

ფარდაგგადაფარებულ კოფოზე თავწაკრული ხნიერი ქალი ზის, რომლის მბრძანებლურსა და ოდინდელი მშვენიერების მიმქრალი შარავანდედით აღბეჭდილ სახეს მოუთმენლობის ლანდები დასთამაშებს.

– კიდევ არ ჩანს ეს ოხერი ზღვა?

მოსთქვამს შუა დღის ბუღით დატანჯული თავადის ქალი მაია, რომელიც შავი ზღვის გრილ ტალღებთან მალე მისვლას ელტვის. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მზით დახრუკული, ოდესღაც რძის ქაფივით თეთრი და სურნელოვანი, აწ კი დამჭკნარი ტანი განიგრილოს. არა, უფრო დიდი სურვილი კლავს თავადის ქალს ზღვასთან მალე მიახლოებისა.

გარყვნილებით არაქათგამოცლილი მისი სხეული კვლავ სიყვარულის ამბორს ითხოვს. ზღვის ნაპირზე კი სატრფო ელოდება. ახალგაზრდა, ტანმრთელი, ლამაზი და არშიყობის ყველა ხრიკის მცოდნე მეტრფე.

ურემს მეურმე მიაცილებს, ყმაწვილი გლეხი ამბაკო, რომლის სატრფო, დაფინო, ქალბატონის მოახლეა და მასვე უზის გვერდით.

„მეურმემ თავადის ქალსა და კოფოზე წამოწეულ ფარდაგს შუა ცალი თვალი ურმის სიღრმეში შეაცურა.

თვალი შეასწრო მაიამ.

– ნუ გეშინია, შე უბედურო: აქ არის... ნურც გერიდება: ორივე თვალით შეხედე და გაიხარე. აი... – და ქალმა ზედატანი ისე დახარა, რომ ურემში შესახედი ადგილი გაანთავისუფლა.

მეურმის თვალებმა ერთდროულად აღბეჭდეს: წინ, პირველ რიგზე, კოფოზე გადმოხრილი მაიას ღია მკერდის გაცვეთილი სამკაულები, მის უკან კი – შავი ვარსკვლავივით ანთებული ყმაწვილი ქალის გამწყრალი თვალების ელვარება. – გაიხარე, აი... – გაიმეორა თავადის ქალმა და ორაზროვანი ხმის უსირცხვილო კილოს ისეთი ავხორციანი გამოხედვა დაატანა, რომ გლეხი ვერ მიხვდა, მეორედ წარმოთქმული „გაიხარე, აი“ რას ეკუთვნოდა: მაიას გულის პირით უცაბედად გადმოშლილ უტევნო, დაწურულ მკერდს, თუ ურმის სიღრმეში შემალულ შავგვრემან გოგონას – ამბაკოს ნამდვილ ცოცხალ სამკაულს“.

–. არ მოგწონვარ, გოგო?

შეელაზღანდარავა გლეხი დაფინოს და „ისეთი სახე უჩვენა, თითქოს უთხრაო: შენ თუ არა, შენს ქალბატონს ხომ ხედავ, რომ მოეწონვარო.

– მიწა კი გაგისკდა! – ესროლა დაფინომ ურმის სიღრმიდან და თვალები აარიდა.

გამარჯვებულივით თავმომწონე ამბაკომ თვალები მოსწყვიტა უკადრის გოგოს და მაიაზე გადაიტანა. – მაია კი, თითქოს მონადირე უცხო ნადირს თოფს უმიზნებსო, ისე დასცქეროდა კოფოდან მეურმეს და მის არშიყობის უშნო ხერხებს უთვალთვალებდა.

გლეხი შეფეთდა, ეს რომ დაინახა. სახეზე ღიმილი უნებლიედ ჩამოსცილდა. არ მოელოდა: თავადის ქალის თვალებიდან ყველა ხვეულით გამომზირალი, ყოველი მოკრძალებისაგან გაძარცული ნდომის ურცხვი ქარი პირდაპირ სახეში უბერავდა.

შერცხვა მეურმეს, ნაბიჯი შეანელა, მერე ურემსაც ჩამორჩა.

ფარდას მოეფარა მაიას სახე.

„ჰო, რა კაპუეტია, გამიგონია, სისხლი უყვარსო“. მძიმედ წარმოსთქვა ახალგაზრდა გლეხმა, როცა ურმის უკან მარტო დარჩა.

წინ კი, კოფოზე, თითქოს ურმის დანჯღრეული, უსაპნო ბორბლის მორგვის შიგნით გაისმაო, ქალის ხმამ ყრუდ დაიჭრიალა:

„უბედურო თავადის ქალო, მაია, ეს რა დროება დაგიდგა“.

ეს მწარე ამოოხვრა ქალისა საცნაური ხდება მას შემდეგ, როცა მთელ მის ცხოვრებას გადავავლებთ თვალს.

თავადის ქალ მაიას ჰქონდა ყველაფერი, რაც საშუალებას აძლევდა ნეტარებაში და სიამოვნებაში განევლო დღენი წუთისოფლისა.

დიდი ქონების მემკვიდრეს გასაჭირი არ უგრძნია, მაგრამ აი, მოვიდნენ ბოლშევიკები და თავადის ქალს თითებზე წამოცმული ძვირფასი ბეჭდების გარდა აღარაფერი შეარჩინეს.

ამ უბედურებას თავადის ქალი შეეგუა, რადგან, პირველ ყოვლისა, მის მთავარ განძს ქონება კი არა, სილამაზე წარმოადგენდა. სწორედ მისი თვალტანადობის გამო ილტვოდნენ მისკენ დარჩეული ვაჟკაცები, როგორც ღრმად მორწმუნენი ქაბისაკენ.

მაგრამ... „აღმოვალს მზე და დავალს მზე და ადგილსა თჳისსა მივალს იგი“ – ვითარცა იტყვის ეკლესიასტე.

დადგა ჟამი თავადის ქალის მზის ჩასვლისა. მის თვალებს ცეცხლი მოაკლდა, ასხლეტილი და ჰაეროვანი სხეული დაუმძიმდა, მისი სილამაზე წარხდა, რადგან

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების

და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების“.

თუმცა, გული არ დაუბერდა თავადის ქალს. გული მისი კვლავ სიცოცხლის დიდი ნადიმისკენ იწევდა. გულს ყველა ლამაზი ვაჟკაცი კვლავ თავისად ეგულვოდა და, აი, უცებ გლეხმა, ტურტლიანმა მეურმემ, მისი ავხორცული ჟინი იუკადრისა, მის ანთებულ, ვნებადღვაღვრილ თვალებს მზერა მოარიდა.

გაშორდა, გაეცალა, როგორც კეთროვანს.

„უბედურო თავადის ქალო, მაია, ეს რა დრო დაგიდგა“. – თავის თავს შეჰკვნესს ეს გახუნებული ლამაზმანი და შური, სიძულვილი იბუდებს მის არსებაში, მისგანვე გაზრდილი მოახლე გოგოს მიმართ. თითქოს ამ ლორთქო ბალახივით ამოხეითქულმა გოგომ წარსტაცა ღვთაებრივი მშვენიერება თავადის ქალ მაიას...

თითქოს ის და მისთანები იმიტომ მოევლინენ ქვეყანას, რომ თავადის ქალის სილამაზე დაეჩრდილათ და იგი ზედმეტ ადამიანად ექციათ.

მაგრამ იმედი ყველაზე ბოლოს კვდება... ზღვის პირას თავადის ქალს სატრფო ელოდება, მისი მოყვარული და დამფასებელი თავადი ბონდო. ეს იმედიც ილუზიური აღმოჩნდა. ბონდოს მასთან მხოლოდ წარსული და დონჟუანური ამპარტავნობა აკავშირებს თურმე.

მაიას არშიყი გლეხის მშვენიერ გოგოს, დაფინოს, ელოდა მოუთმენლად. ბონდოს დაფინოს ხელში ჩაგდება და ავხორცული ჟინის მოკვლა სურდა, მაიასთან შეხვედრა კი იმდენად უნდოდა, რამდენადაც ეს უკანასკნელი გზად და ხიდად მიაჩნდა გლეხის ლამაზ გოგოსთან დასაკავშირებლად.

სასიყვარულო ინტრიგებში ნაცადი მაია ბონდოსთან შეხვედრისთანავე მიხვდა, რომ მის ყოფილ კუროს სხვისი ბალისკენ ეჭირა თვალი.

არ გასჭრა თავადის ქალის ხვეწნა-მუდარამ. ველარ დაიყოლია ახალ სასიყვარულო ექსტაზზე ახალგაზრდა თავადი, რომელიც წლების წინათ ფიანდაზად უგებდა გულს და განწირულმა, სულით ხორცამდე შეურაცხყოფილმა ქალმა უკანასკნელი ხერხი იხმარა. ბონდო საკუთარ კარავში გაუშვა ღამით და შეჰპირდა, რომ მას დაფინოს გაუგზავნიდა.

„მაშინ მაინც მიხვდი, მაშინ მაინც გაზომე, გულქვა ვაჟო, თუ რა დიდია მაიას სიყვარული შენდამი... წადი, ლოდინი არ დაგჭირდება“. მაგრამ მაია არ იყო ის ქალი, ვისაც სხვისი უზნეო ხუშტურის დასაკმაყოფილებლად მსხვერპლის გაღება შეეძლო. მას ერთადერთი სურდა და ძალუძდა, – საკუთარი უზნეო სურვილებისთვის აქეთ მიელო მსხვერპლი. მზად იყო საკუთარი ხელით მიეხრჩო ყველა, ვინც მის ვნებიან ლტოლვას აღუდგებოდა...

მოახლე გოგოს თავშალი მოიხურა და თავად მიაშურა ბნელ კარავს. „ზედ კართან, მოულოდნელად, ირთოლევით ატანილმა მკლავმა მკლავზე თითები მარწუხის კბილებივით შემოაკრა და თვალის დახამხამებაში სადღაც გაიტაცა, როგორც ქორმა წიწილი.

ეს იყო ის, რისთვისაც ბედს სცდიდა თავადის ქალი მაია. თითქოს დავიწყებული ქალწულობა დაუბრუნდა და პირველი სიყვარულის განუმეორებელი ტკბობის წუთები გაუცხოველდაო, ისე მიჰყვა იგი ვაჟკაცის ხელებს, ფოთოლივით მსუბუქი და დარხეული.

– დაფი, შენ ხელშია ჩემი სიცოცხლე: გინდა დამარჩენ, გინდა მომკლავ...

ბნედა შეკიდებულ ხმაზე უჩურჩულებდა ბონდო მქშინავ მკერდზე მიკრულ მაიას.

დეე, იყოს მოტყუილებით გამოწვეული ეს ვაჟკაცური გახელება. დეე, იყოს სხვისადმი მიმართული ეს ნდომა მამაკაცური, ოღონდ მაიას ტანმა ერთი წამით მაინც იგრძნოს ეს ცეცხლი, ალერსი ვნებისა. ეს ძალოვანი ლტოლვა სქესური ნებისყოფისა“.

იმდენად დიდია ვნება, ავხორცული ალტკინება ქალისა, რომ იგი გულში იკლავს თავის დიდ ამპარტავნებას, პატივმოყვარეობას, სიზვიადეს, ოღონდ კი მოიკლას ხორცის წყურვილი გლეხის ქალწულად გარდასახულმა, „მაგრამ უცებ, თითქო მეხი გავარდა და ბონდოს გული გაუპოო, ისე შეჰქანდა ვაჟი. გულზე მიკრული ქალი ხელის ძლიერი კვრით მკერდიდან მოიგლიჯა და ჩვარივით განზე გაისროლა, კუთხეში მიაგდო.

– ჰო, საზიზღარო, ეს რა მიყავი? მომშორდი-მეთქი ახლავე! – დაიყვირა მან და გულიდან შხამიანი ზიზღი გადმოანთხია.

მაია კედელს მიეხეთქა. შალი გადაძვრა. თავზე თმა აეშალა და ბნელ კარავში უცებ სიჩუმე დამყარდა“.

ლიტერატურაში ათასგვარი სასიყვარულო ინტრიგა და სკაბრეზულობამდე დასული ურთიერთობებია აღწერილი, მაგრამ იშვიათია ისე გაშიშვლებული, ფსიქოლოგიურად ზუსტად დაჭერილი ნიუანსების ჩვენება ორი სულით ხორცამდე შეურაცხყოფილი ადამიანისა, როგორსაც ლეო ქიაჩელი აღწერს.

უკვე ერთმანეთის სიძულვილით გაბოროტებულმა წყვილმა მორიელებივით დაჰკბინეს მწარე-მწარე სიტყვებით ერთურთი. მწერალი იმ ერთადერთ ფრაზას პოულობს, რომლითაც ის შთამბეჭდავი სურათი იხატება და სიტყვიერის გარდა, ხელოვნების ვერც ერთი დარგი რომ ვერ გადმოსცემს –

„უცებ გაშიშვლდა სიძულვილი ორივე მხრივ და ბნელ კარავში ყვითელი ფერის კოცონები დაენთნენ“.

ისე დიდი იყო თავადის ამპარტავან ქალში შურისძიების მძაფრი სურვილი, რომ მას უკიდურესად გათელილმა თავმოყვარეობამ გონი კი არ აურია, კი არ მოადუნა, პირიქით, ერთადერთი და მიზანდასახული გადაწყვეტილება მიაღებინა.

ხეადამიანური ნებისყოფა გამოიჩინა კვლავ დაუტკბა ბონდოს და დიდი სიყვარულის დასტურად უკანასკნელი მსხვერპლის მირთმევას დაჰპირდა. „დაე, აღსრულდეს, რაც ბედისწერისაგან განაჩენია: ჩემი ადგილი ამ ღამიდან დაფინოსათვის დამითმია“-ო.

გაოგნებული, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, გაბრიყვებული ბონდო უკვე დანდობილად ელოდა დაფინოს, რომელმაც არც ის იცოდა, თუ რა მზაკვრული მიზნით გაგზავნა თავისმა ქალბატონმა კარავში და არც იმის შესახებ ჰქონდა წარმოდგენა, რა ქარიშხალიც დატრიალებულიყო მისი ღვთაებრივი სილამაზის გამო.

დაფინომ გულუბრყვილოდ შეაბიჯა ბნელ კარავში, სადაც ჩასაფრებული ელოდა მხეცივით ბორგნეული თავადი ბონდო, მაგრამ შურისმაძიებელმა თავადის ქალმა კარისკენ მალე დაფინოს სატრფო ამბაკოც გაგზავნა. სამჯერ იგრიალა რევოლვერმა სიბნელეში.

„სულ მცირე ხანში ყველამ გაიგო, რომ ყმაწვილმა გლეხმა ამბაკომ სამი ტყვიით მოკლა თავადის ქალის მაიას არშიყი, უცხო ვაჟკაცი, ამ კუთხის უცნობი ვინმე, ყოფილი თავადი...“

ამით რომ დასრულებულიყო ნაწარმოების სიუჟეტი, ჩვენს წინაშე გადაიშლებოდა ამბავი სიყვარულისა და შურისძიების შესახებ, მაგრამ თხზულების ფინალი, როგორც მოთხრობის მთავარ გმირს, თავადის ქალ მაიას, ისე თვით ნაწარმოების მიზანდასახულობას სრულიად სხვა კუთხით წარმოგვიდგენს.

რომ არა ეს ფინალი, თავადის ქალი მაია მკითხველის მეხსიერებაში დარჩებოდა ავხორც, მაგრამ სიყვარულისთვის უკვე მობერებულ, სატრფოსაგან ხელნაკრავ და ამით გაბოროტებულ, სასტიკ შურისმაძიებელ ავ სულად. მაგრამ თავადის ქალი მაია არ არის ასე ცალსახად წარმოსადგენი გმირი. მის შურისძიებით ანთებულ გულს, ჩაცხრომის შემდეგ, მწვავე სინანულის გრძნობა იპყრობს, სინანული არა იმისათვის, რომ მკაცრად დასაჯა მოღალატე სატრფო, არამედ სინანული განვლილი ცხოვრების გამო.

პასკალის ერთ-ერთი დაკვირვება ცხოვრების შესახებ ასეთია: „ჩვენი ხვედრის სიმწარე ყველაზე უკეთ გამოხატეს სიტყვით სოლომონმა და იობმა – უბედნიერესმა და უბედურესმა კაცთა შორის. ერთმა პირადი ცდით შეიცნო განცხრომათა ამაოება, მეორემ – უბედურების სიმწარე“.

იერუსალიმის მეფე დავითმა, რომელსაც სიუხვე და განცხრომა არ დაჰკლებია, „ეკლესიასტეში“ განაცხადა: „ამაოება ამაოთა. ყოველივე ამაო“.

თავადის ქალმა მაიამ სიამენი გააფეტიშა და წუთისოფელი ისე განვლო, „წადილთა ნებისათვის“ უარი არ უთქვამს, მაგრამ, ცხოვრების მიმწუხრში, სიცოცხლის ნადიმზე ისიც ზედმეტ ადამიანად იქცა და პირად მაგალითზე შეიცნო განცხრომათა ამაოება. ამის შეგნებამ ეს ამპარტავანი ქალი მონანიე არსებად აქცია და ახლა ერთი სული აქვს, რაც შეიძლება მალე გაეცალოს სიცოცხლეს, რომელიც ასე უყვარდა და შინაგანად დაცლილს უკვე ზედმეტ ტვირთად მიუჩნევია.

ამაღლებული ტრაგიზმითაა განათებული სურათი, როდესაც თავადის ქალი მაია ძვირფას ბეჭდებს ყრის ზღვის აქაფებულ ტალღებში. ეს ბეჭდები ხომ მისთვის წარსული ცხოვრების ხსოვნაა, ცხოვრებისა, რომელიც თურმე ამაოება ყოფილა. ბეჭდების გადაყრა ერთგვარი ანგარიშსწორებაცაა ქალისაგან მის მიერვე გაფეტიშებული, არსით კი ამაო სიცოცხლისადმი.

„მომეხმარე, კენჭებზე ვერ დავდივარ.

დაფინო შეებჯინა.

ზღვის პირთან ქვიშაზე შესდგა მაია. დაფინოს მთელი ტანით დაეყრდნო.

კიდევ ჯარად აიშალნენ ზღვის ვერცხლის ზვირთები. მწყობრად წამოვიდნენ და ნაპირზე გამოიფანტნენ შურებით.

მაიას წინ ყალყზე შესდგნენ.

– ვინ არის აქ ისეთი, ვინც არ უნდა იყვეს? – კიდევ იკითხეს.

– ჰო, ეს ზღვა დღეს რა რიგ მაშინებს, დაფი! მეჩვენება თითქოს სიკვდილსაც ლურჯი ფერი აქვს, როგორც ზღვას და როგორც ზღვა ისე დიდია, ისე ღრმაა სიკვდილი. ნეტავი შემეძლოს მისი გული მოვიგო! რა შევწირო, ან რა აღვუთქვა, რომ არ მაშინებდეს? რა გამაჩნია? აი, ეს ბეჭდები შემრჩა მხოლოდ და ეს სამაჯური! მათ თვლებში ჩემი ბედის ყველა საფეხურია აღბეჭდილი და... სიცოცხლე და სიკვდილი იმდენი ვაჟკაცის, რამდენიც ხელზე ბეჭედი მაქვს და სამა-

გაგრძელება მე-6 გვ.

# ლეო ქიაჩელი

## „თავადის ქალი მაია“

## (განხილვა)

**ნოდარ გრიგალაშვილი**

მეხუთე გვერდიდან

ჯური.

– ამ სამაჯურით მე დავინიშნე სულ პირველად, დაფინო, როცა შენი ხნისა ვიყავი. აფხაზი იყო ჩემი პირველი საქმრო, სახელად ჰაიდბეი და გვარად ჩაჩბა, მთავრის შთამომავალი. მე მას არ ვიცნობდი. არ მენახა. ამბობდნენ, ღამით მთვარეს ჰგავს და დღისით მზესო. მოციქულები გამოუგზავნა მამას. როცა თანხმობა მიიღო, ძღვენი მოართვა: მის მორთმეულ ოცდახუთ ცხენში ორი წმინდა არაბული ერია, ახალი თოვლივით თეთრი და ჭკუიანები, როგორც ადამიანი. თავადის ძღვენს ასი ქალი და კაცი მოჰყვებოდა მისი უფროსი დის მეთაურობით, რომელმაც ეს სამაჯური გადმომცა ძმის სახელით...

დრო დაინიშნა ქორწინებისა. წამოვიდა ჰაიდბეი ბრწყინვალე ჩაჩბა ოდიშისკენ. მაგრამ დაფინო, ყური დამიგდე... მე ის, როგორც მანამდე, შემდეგშიც აღარ მინახავს... ზამთარი იყო: ინგურში ფონით გადმოდიოდნენ. მამამ უბრძანა ვეფხი ჩიჩუას, ძვირფას სიძეს ინგურზე შეგებებოდა რჩეული ვაჟკაცებისაგან შემდგარი ამალით. პატივი ეცა. ხლებოდა. ვეფხი ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. მთელ ჩვენს მხარეში არავინ იყო ისეთი, მას რომ ვაჟკაცობით და თვალტანადობით გატოლებოდა. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა ფარულად. ეახლა ვეფხი სტუმარს. შინ კი ამ დროს საქორწილო მზადება იყო დიდი და გაუგონარი. საზეიმოდ დანიშნული სუფრა მთელი ეზოს სიგრძეს წვდებოდა. ძვირფასი ნოხებითა, ფარდებით და ფარჩით იყო სეფა მორთული... და, დაფი, გაიგონე კარგად, რასაც გეტყვი. არავინ იცის თუ როგორ მოხდა, რომ ხუთასი კაცის თვალწინ ინგურში დაიღუპა ჩემი თავადი ჰაიდბეი ჩაჩბა.

ჩემს წინ მუხლმოყრილი იდგა ვეფხი, ამ საზარელი ამბის მომტანი. თავად ხმას არ იღებდა. მის მაგიერ მხლებელი ლაპარაკობდა. უძრავი, უსიტყვო და უსიცოცხლო ვეფხი თვალებში შემომცქეროდა. პირველად ვხედავდი მე ისეთ თვალებს, რომლებითაც მე მაშინ ვეფხი მიმზერდა. მათგან რაღაც საშინელი ძალა გადმოიღვარა. მაგრამ ამავე დროს მიმზიდველნიც იყვნენ ისინი. დედაჩემს ვყავდი მკერდზე თავით მიხუტებული. მეფერებოდა. გარს მეხვივნენ საზეიმოდ მორთული ტოლმეგობრებიც. ყველა ტიროდა და ქვითინებდა. მე კი ვეფხის თვალებს ვყავდი დატყვევებული. ვკრთოდი შეშინებული. ცრემლი კი ჩემს თვალებს არ ეკარებოდა...

და ეს სამაჯური ჩემს დასანიშნად იმ უბედური ჰაიდბეის მორთმეულია... ჩემს მაჯას იგი მას შემდეგ არასოდეს მოშორებია, დაფი. მე მას ამიერიდან ზღვას ვწირავ! შეხედე კარგად: მიიღებს თუ არა ზღვა ამ ჩემს შესაწირავს?

– უიმე ქალბატონო!

– სუ... აი, ზღვა როგორ დაწყნარდა. დაყუჩდა. შევდგათ შიგ ფეხი. გამთბარა კიდევაც. მომყევი დაფი. ჰო, და მერე ჩემი ცხოვრება გამოიცვალა, ჩემო პატარავ, მამა მომიკვდა. მერე დედაც – დავრჩი გაუთხოვარი. ეს ბეჭედი, დაფინო, ოდიშის თავადს ეკუთვნის, ვეფხი ჩიჩუას. მე ის მიყვარდა, მაგრამ მე სხვას ვუყვარდი და იმ სხვამ არ მოითმინა, რომ მე თავადი ვეფხი მიყვარდა... და მოჰკლა... აჰა, ესეც ზღვას ჰქონდეს, იშვიათი ლალია, დიდი ოჯახის საგვარეულო განძი! დააკვირდი. შეიწირა თუ არა შესაწირავი ზღვამ?.. ჰა, უფრო დაწყნარდა ზღვა. წელამდის გვიწევს წყალი. მაგრამ მუდამ ალერსით სავსე ჩემი ვეფხი ჩიჩუას ტრფიალს მაგონებს მისი შეხება. მომყევი, ჩემო ერთგულო გოგო! ნუ გეშინია. ის „სხვა“, რომელმაც ჩიჩუა მოჰკლა-მეთქი, ნამდვილად სხვა კი არ იყო, არამედ ჩემიანი... ნათესავი. მე ის მძულდა, გარწმუნებ დაფინო... მის სახელსაც არ ვიტყვი, რადგან ახლაც მძულს... და ეს ბეჭედი, ძველი ალმასით დამშვენებული, ახლაც რომ მკითხო, ვერ მოგცემ პასუხს, თუ მას ამდენ ხანს რად ვატარებ? აჰა, ასეც ზღვას ჰქონდეს, ჩემო დაფინო. იგი მოჰკლა ჩვენმა ახალმა მოურავმა, უბრალო ლაკადელმა აზნაურმა, ჩემი სიყვარულისათვის ჯოტო იყო მოურავის სახელი. მისგან მე არაფერი დამრჩენია, გარდა მისი ურთგულესი სიყვარულის მოგონებისა. მაგრამ მის უბედურ სიკვდილს შენც მოსწრებიხარ, დაფი.

– ქალბატონო, ძალიან შორს მიდიხარ, ზღვის სიღრმე აქ საშიშია, გნებავს, დავბრუნდეთ?

– მეც სიღრმეს ვეძებ, დაფინო! ზღვის სიღრმეს, რომელსაც შეუძლია ისე დამმალოს, ისე დამფაროს... რომ ეს ჩემი ტანი...

– დაბრუნება სჯობია ქალბატონო...

– რატომ? აქ ხომ კარგია! მაგრამ თავსაკრავი რომ არ წამომიღია! ეს როგორ მოხდა? შენი ბრალია... უნდა გაგიწყრე! ტკიეილი ვიცი. თუ თავი შეხვეული არა მაქვს. დაბრუნდი, დაფი, თავსაკრავი მომირბენინე. ახლავე. როგორ გაბედე და დაგავიწყდა! მალე-მეთქი, გიბრძანებ, გესმის? თავსაფარი მჭირია!

შეშინებული დაფინო სწრაფად წავიდა ნაპირისაკენ.

აჩქარებისაგან ფეხი ეშლებოდა. წყალსაც ვერ სჭრიდა.

როცა ნაპირს მიაღწია, უკან მოუხედავად გაიქცა, სადაც მაიას ტანსაცმელი ეწყო. დასტაცა ხელი თავსაკრავს და უმალვე ისევ უკან გაბრუნდა.

გახედა:

აღარსად იყო თავადის ქალი მაია“.

შეუძლებელია ამ ვრცელი პასაჟით წარმოდგენილი სურათის დავიწყება. უაღრესად ადამიანურია თავადის ქალის მონოლოგი, მისი აღსარება მოახლე გოგოს წინაშე.

სატრფოთაგან ნაჩუქარი ბეჭდები ზღვის აქაფებულ ტალღებში გადააგდო.

ახლა ნიკო ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცი გავიხსენოთ. ისე როგორც მაია, ისიც თავს იკლავს, მაგრამ მწერალი ხაზგასმით ამბობს, თითზე ნიშნობის ბეჭედი შერჩენოდაო.

ეს ბეჭედი ერთგულებისა და სიყვარულის სიმბოლო იყო. ამიტომაც გაამახვილა მასზე ყურადღება ნიკო ლორთქიფანიძემ.

თავადის ქალ მაიასაგან კი ბეჭდების წყალში გადაყრა იქნებ იმის დასტურიც იყო, რომ იგი სიკვდილის წინ [illegible] გაუტყდა: არასოდეს უცხოვრია ნამდვილი სიყვარულითა და ერთგულებით. [illegible] ჟამადმყოფობა [illegible] ბედნიერება კი ცრუ ბედნიერება.

თავადის ქალი მაია საკუთარი ცხოვრების მაგალითზე დარწმუნდა, რომ ამაოება იყო ყოველი და სწორედ ამ შეგნებით გულშეძრულმა გადაუძახა წყალში ის ძვირფასი თვლები, წარსულთან, ანუ ამაოებასთან რომ აკავშირებდა.

თავადაც აღარაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ გასცლოდა ამ ამაოებას. თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

კიდევ ერთი პასაჟი მინდა გაგახსენოთ, რომელშიც ასევე ჩანს თავადის ქალის მწარე სინანული თავისი ცხოვრების წესის გამო.

ამბაკო ბონდოს მოკვლის შემდეგ დააპატიმრეს.

მეორე დღეს მაია ამბაკოს საცოლეს, დაფინოს, შემდეგი სიტყვებით ანუგეშებს და არიგებს: „ამბაკოს მალე გაათავისუფლებენ, შეიძლება როცა დაგკითხავენ, გამოგაყოლონ აქეთ კიდევაც. თუ არადა, იცოდე, მის ხარებს მოუარე. დროზე აჭამე, დროზე გარეკე, დროზე დააბი. რა მამულ-დედულის პატრონები ხართ: ამ ხარებმა უნდა გარჩინონ...

უცებ წამოდგა თავადის ქალი მაია. მეორე მკლავიც მოხვია დაფინოს და გულში ჩაიკრა. სახე თმაში ჩაუმალა და ჩუმი ქვითინი დაიწყო გულამოსკვნილმა“.

მაიამ ცალად განვლო თავისი ცხოვრების დღენი. დროსტარებასა და სიამოვნებაში გართულმა, გვიანღა გაისიგრძეგანა, რომ ბოლოს მარტო დარჩა. არ ჰყავდა პატრონი და ქომაგი. აქედან გამომდინარე, მოახლე გოგოს ცოლქმრულ უღელში შებმას ურჩევს. საქმროს ერთგულებისაკენ მოუწოდებს. შემდეგ კი მწარედ აქვითინდება.

ვინ იცის, ეს ცრემლი იქნებ ცალად განვლილი ცხოვრების გამოტირებისა იყო, იქნებ ოჯახური მყუდროების მონატრებისა, იქნებ შურისაც იყო საკუთარი მოახლის უბრალო და მარტივი ცხოვრების გამო. ან იქნებ ყველა ამ გრძნობამ ერთდროულად იფეთქა თავადის ამპარტავანი ქალის არსებაში და მის ლამაზ თვალებს მწარე კაეშანის ცრემლი მოსწყვიტა. ცრემლი, რომელიც თანაგრძნობით ავსებს მკითხველს ამ ერთდროულად ბედნიერისა და უბედურის, ამ ავკარგიანი პერსონაჟისადმი.

**შემდეგი ნომრიდან დაიწყება „ჰაჯი აბაბას“ განხილვა.**

---

**დიდებისა და პატარებისათვის**



# სანთელ – ია



უკუნი, კუპრივით სქელი სიბნელე იგრძნობა უხილავი სივრცე, რომელშიც მრავალი, მჭიდროდ ჩალაგებული რაღაც საგნებია. საგნები ერთმანეთზეა დალაგებული და თვითონაც იტანჯებიან და სხვასაც აწუხებენ.

ისმის გმინვა. ხვნეშა, ვაი-ვიში...

– ცოტა რომ გაიწიო, ნეტავ რა მოხდება?

– საცაა სული ამომხდება! როგორ გავიწიო, ამოდონა ხალხი თავს მაწევს?

– ვაიმე, ვაიმე! ამ ბლენძიას ვინ გაწევს?! არადა ველარა ვსუნთქავ.

– ერთი დამანახა ეგ შენი სულთამხუთავი, მაგრამ ამ სიბნელეში აბა როგორ გიშველო?

– ეჰ! ან ისეთი რა დავაშავეთ, ან გამჩენმა რად დაგვივიწყა?

ეს იყო და ეს!

ნაპერწკალმა რკალი შემოხაზა უხილავ სივრცეში სადღაც სიმაღლიდან ძირს დაეშვა და ერთ-ერთს თმაში ჩააფრინდა. თმას ცეცხლი მოედო, უხილავი ხილული გახდა. უცნობებმა შეხედეს ერთმანეთს და იცნეს.

მაგრამ ამ საოცარი მადლისა და სიკეთისათვის, რაც ბნელის განდევნას ნიშნავდა, პაწაწინა სანთლის აუტანელი ტანჯვა დაედო საფუძვლად.

– ვაიმე დედა! მიშველე, ცეცხლი მომედო, დავიწვები!

– ეხლავე, დედა გენაცვალოს! ეხლავე – შეშფოთებით წამოიძახა გამწარებულმა დედამ და შვილს თავზე თავისი თმები შემოაელო ცეცხლის ჩასაქრობად, მაგრამ ერთ წამს ცეცხლი ვითომ განელდა, შემდეგ კი ისეთი ძალით აგიზგიზდა, რომ ბნელი კიდევ უფრო შორს მიიმალა. უკვე დედა-შვილს ეკიდა ცეცხლი თმებზე. საშინლად იტანჯებოდნენ და ირგვლივ გარშემოჯარული სანთელთა ბრბო დიდი ყურადღებით უცქერდა ყოველივეს. ნელ-ნელა ტანჯვა განელდა და ასევე ნელ-ნელა ტანჯვა ნეტარებად გარდაექცათ, ამაყად აღმართეს პატრუქები და თავზედადგმული გვირგვინი ამაყად მოიმართეს. თუმც, ყველა შენატროდა. ვერავინ ბედავდა ცეცხლის მოდებას. და აჰა! ერთმა გაბედა და პატრუქი მიუშვირა დედა-შვილს და აინთო. აინთო და საშინელი ტკივილისაგან დაკრუნჩხული მიწაზე განერთხო. ბრბომ დაიგმინა. წრე გაიზარდა. გასცილდნენ. უფრო შორს დადგნენ. ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც დედა-შვილის თავს და დამშვიდებული, გულადი სანთელი ფეხზე წამოდგა და მარჯვნივ ამაყად ამოუდგა დედა-შვილს. სხვებმაც გაბედეს და ზარ-ზეიმით ცეცხლავებიეეით აკიაფდნენ უსასრულო რაოდენობის სანთლები.

მხოლოდ ზოგიერთმა ვერ გაბედა...

ოღონდ ზოგიერთმა ვერ ირწმუნა...

ვაგლახ! ბევრს გონება ვერ ეყო და დანესტიანებულ პატრუქს ცეცხლი ვერ მოეკიდა.

და ეყარნენ მიწაზე...

და უცეცხლოდ დაღლეენთნენ...

და ფხვნილად იქცნენ

და დაიხოცნენ სამარადისოდ, უნაყოფოდ, უვარგისად, უშინაარსოდ...

უამრავი სანთლისაგან გამოღვიძებულმა, მიძინებულმა მცენარემ წამოყო მიწიდან თავი და სანთლების ყურადღება მიიქცია.

შვილი სანთელი ერთ ახლადამოწვერილ მცენარესთან დადგა და მხოლოდ მისთვის ანათებდა. მხოლოდ მას ათბობდა და ისევ იწყო ზრდა სიცივისაგან შეყოვნებულმა მცენარემ. გაიშალა და გაიფურჩქნა და ყველამ იხილა ია. ლურჯთვალა ია, ნაზი მკრთომარე. თავის სიყვარულს ვერ უმალავდა სანთელს და მორცხვად მალავდა ლივლივა ლურჯ თვალებს. სანთელმა სათუთად ჩაიხუტა გულში და ჩურჩულით ჰკითხა, – რატომ კრთიხარო... და მცივაო.

და განა ჩემი ცეცხლი არ გათბობსო!?

და მინათებსო! და სითბოს კი ვერა ვღებულობო.

და მაშ რა ვიღონოთ?! სად იქნება ის ცეცხლი, რომელიც გაგათბობსო და ალბათ იქ იქნებაო, საიდანაც ნაპერწკალი შემოფრინდაო.

აიხედა პატარა სანთელმა მაღლა და გაყინული ზეცის თაღის ერთ-ერთ კუთხეში პატარა ნაპრალი შეამჩნია და იმისაკენ გაეშურა. ფეხი უცურდებოდა სრიალა ყინულოვან ფერდობებზე, მაგრამ აკანკალებული ია თვალწინ ედგა და ჯიუტად და შეუპოვრად მიიწევდა მთის მწვერვალისაკენ.

და აჰა! მთის მწვერვალიც და გაყინული ზეცის პატარა ნაპრალი. მიუშვირა თავისი ალი პატარა სანთელმა და მხოლოდ რამდენიმე წვეთი ჩამოადნო ვეება ყინულის ლოდებს. მკურნალ წვიმად დაეპკურა ეს რამდენიმე წვეთი იას, გამოაცოცხლა იგი, მაგრამ ისეთი ცივი იყო წვიმა, რომ ისედაც გაციებულს მეტად შესცივდა და სუსტად და საცოდავად ამოიკვნესა,– მცივაო.

ამ სუსტმა ბგერამ თაღებქვეშ მეხივით იქუხა და პატარა სანთელს გული ისე ატკინა, რომ მან მწარედ ამოიხვნეშა. მის ამოსუნთქვაზე ალი გაავდა. რაღაც ენიშნა პატარას და მძლავრად დაუბერა თავის ალს და ისე გააშმაგა იგი, რომ ცეცხლი ვულკანივით გრიალებდა. მიუშვირა ალი გაყინულ ზეცას და ელვისებურად გამოჭრა მასში უზარმაზარი ხვრელი. გამდნარი წყალი ჩანჩქერებად იღვრებოდა მთებიდან და წმინდა ნაკადულებად მოედინებოდა ბარში.

უეცრად ხვრელში მზე შემოსრიალდა. დაიწყო დნობა ზეცამ, ბარში წამოწვიმა, გაიღვიძა ბუნებამ და აყვავდა დედამიწა. მთებშიც ისე ძალუმად დაიწყო თოვლის დნობა, რომ წააქცია პატარა გმირი, ცეცხლი შიშინით ჩაუქრო. მდინარემ იგი პირდაპირ იასთან გამორიყა. მწარედ ატირდა ია, თავის უსულო სანთელს რომ შეხედა და ლურჯ თვალებში აუწერელი კაეშანი აღბეჭდა, მაგრამ მოვიდა დედა და შვილი ხელში აიტაცა, გული გაუთბო, თმები შეუშრო და ისევ აუნთო შუქი. მზის სინათლეზე არ ჩანდა სანთლის შუქი, მაგრამ ჩაიხუტა იამ გაცოცხლებული სიყვარული გულში და ძლიერ უფრთხილდებოდა მას, რათა ხელიდან არ გავარდნოდა ეს უსასრულო განძი, რომელიც მის გულში მზესავით ანათებდა. მიდიოდა ია უდაბნოში და კლდე-ღრეზე და ყველგან მის ნაკვალევზე ია და წალკოტი რჩებოდა. თვალებში კაეშანი გაუქრა და თითქოს ჩამქრალ თვალებში, იქ სადღაც, სიღრმეში, იგრძნობოდა ნამდვილი სინათლე. არ ეშინია იას ძნელი გზებისა და მხოლოდ მზისაგან გადაბუგულ უდაბნოს ირჩევს, რათა ააყვაოს ბუნება. მას ხომ დღისით, მზისით ყველასათვის უხილავი, მაგრამ მზესავით მოელვარე საკუთარი ცეცხლი აქვს ჩახუტებული გულში, – ის ცეცხლი, რომელიც მისი განსაკუთრებული გზის ერთადერთი მაჩვენებელიცაა და მოძღვარიც“.

**სიტყვის პაპა**

# მიხეილ ჯავახიშვილი

# დამდნარი ჯაჭვი



დასასრული (დასაწ. იხ. „საქართველო" №1,2,3)

IV

და ეხლა, ექვსი წლის შემდეგ ისევ პირისპირ წარუდგნენ ერთმანეთს: სიძე და სიდედრი, საქმრო და საცოლე.

კედელზე მიყუდებული და პირალრეცილი აპოლონი მომაკვდავის ღიმილით იღიმებოდა. გახევებული დარო თრთოდა და საზარელ ლანდს გაყინულ თვალებს ველარ აშორებდა. რა სთქვა მარინემ? „ჩემი დანიშნულიაო!". ხომ არ შესცდა დარო? სმენამ ხომ არ უღალატა? ეს ამბავი ლანდია თუ სინამდვილე? აგერ, იქ რომ აყუდულა და კბილები რომ დაუკრეჭია, ისიც ლანდია თუ ცხადი?

– აპოლონ, რა დაგემართა? – მეორედ ეკითხება მარინე და ხელით ანჯღრევს დირექტორს. – ხომ არ დაიღალე?

ჰო, დაიღალა. რა თქმა უნდა, დაიღალა. სხვაფრივ აპოლონს არა უშავსრა. სხვა რამ მიზეზი ნუ ჰგონია მარინეს. ნუ შეშინდება აპოლონის დანიშნული: აპოლონი დაიღალა. მეტი არაფერი. ეხლავე მოკეთდება. დაწყნარდი მარინე, დაწყნარდი.

– დედი, შენ რაღა დაგემართა?

დაროს რაღა დაემართა? არაფერი, შვილო, საიმისო არაფერი. წყალი მიაწოდე დედაშენს, მარინე, წყალი. დალევს და მობრუნდება.

– მკვდრის ფერი დაგედო. ჩემმა დაგვიანებამ ხომ არ შეგაწუხა?

რასაკვირველია, შეაწუხა. შვილის მოლოდინით დედას გული გაუწვრილდა.

– ეხლა კიდევ ეს ამბავიც უცებ მოგარტყი და...

ჰო, მართლა! ეგრეა, რა თქმა უნდა, ეგრეა. დედას მოულოდნელად დაატყდა შვილის გაბედნიერება და გულის ღელვას ველარ გაუძლო. ეს არის ნამდვილი მიზეზი, მხოლოდ ეს არის. სხვა არაფერი... მეტი არაფერი. ნუ აღელდი, მარინე, ნუ! ნუ გეშინიან.

– დამშვიდდი, შვილო. მეც კარგათა ვარ. აღარა მიშავს რა... სისუსტემ გამიარა.

– ჩემი ნიშნობა კარგად ვერ დაიწყო. – იღიმება მარინე და სიძე-სიდედრს უთვალთვალებს.

– რატომ, გენაცვა, რატომ! – ნაძალადევად გამოცოცხლდა დარო. – მე ძალიან მესიამოვნა შენი გაბედნიერება. მიხარია ან... ძალიან მიხარიან. რატომ აქამდე არაფერი მითხარი?

– ეს ამბავი დღეს გადაწყდა.

– ამ კაცის გვარს მაინც მეტყოდი.

– როდის-ღა, დედი? გუშინ არ ჩამოხვედი? ერთი საათი არც კი გაგრძელებულა ჩვენი ლაპარაკი. დამავიწყდა. ველარ მოვასწარი. აპოლონ რაპოლიძეა, ჩვენი დირექტორია.

დირექტორი წითელი ხავერდის სუფრას ჩასცქერის და სდუმს.

– მართლა, გვარის გახსენებაზე მომაგონდა. – მიუბრუნდა აპოლონს და გვერდით მიუჯდა. – ერთი ამბავი უნდა გითხრა. წელანვე მინდოდა მეთქვა, მაგრამ შემრცხვა. ეხლა კი დრო მოვიდა. მომისმინე და, თუ დასაძრახი ვარ, მერმე დამძრახე.

– სთქვი. – ფუღურო ხმით სთქვა აპოლონმა.

– დედაჩემს ელენე კი არ ჰქვიან, არამედ დარო. ჩვენ შოფურიძეები კი არა ვართ, არამედ შველიშვილები.

ხელი ხელში წაავლო და უფრო ახლოს მიიწია.

რაპოლიძეს ოდნავადაც არ გაუკვირდა. მხოლოდ გაიღიმა. „ვიცი", – კინაღამ წარმოსთქვა, მაგრამ დროზე ენაზე იკბინა და ჰკითხა:

– რისთვის გამოიცვალეთ გვარი?

– მიზეზი უბრალოა:

– მამაჩემი პოლკოვნიკი იყო და... წითლებმა დახვრიტეს.

აპოლონმა ხელი გამოჰგლიჯა. წამოვარდა და ფანჯარას მიადგა.

მამის სიკვდილის შემდეგ დარო და მარინე მარტოდ-მარტონი დარჩნენ. ლუკმა პური შრომით უნდა ეშოვნათ. დედა ნამცხვრებს ამზადებდა, მარინე კი ჰყიდდა. მერმე ესეც მოესპოთ. საჭირო იყო სამსახური. მარინემ რამდენჯერმე იშოვნა ადგილი. მაგრამ ყველგან ანკეტები დაუხვდა: „ვინ იყო მამა შენი? სად მსახურობდა? გლეხი იყო, თავადი თუ აზნაური?" ხოლო მარინეს მამა აზნაურიც იყო, პოლკოვნიკიც და თეთრიც. მარინე ჭირიანს დაემსგავსა. ახლოსაც არ იკარებდნენ. რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ. მარინე ხან ქუთაისში მსახურობდა, ხან ბათუმში, მაგრამ აქაც გაუგეს და დაითხოვეს. ლუკმა პურის შოვნისთვის საჭირო გახდა წარსულის წაშლა და დავიწყება. ერთმა ნაცნობმა უშველა: ორი პირადობის მოწმობა უშოვნა და ორივენი მარინეს მამიდაშვილის გვარით ჩასწერა. ეს იყო მიზეზი ყალბი გვარის დარქმევისა. მეტი არაფერი.

– გავიგე. – უპასუხა დირექტორმა ფანჯრის მინას.

– მერმე? რას იტყვი?

არაფერსაც არ იტყვის რაპოლიძე. იმანაც იცის, რომ ასეთი ამბავი გახშირდა.

– მაშ არ მიწყრები?

– არა, არ გიწყრები.

მერმე მობრუნდა და დაჯდა. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

– შვილო, მარინე, წადი, გენაცვა, და ჩაისთვის ცოტა რამე მოიტანე.

– მართლა, – მოაგონდა მარინესაც, – პატარა ნიშნობა უნდა გავმართოთ.

– მეც გამოგყვები. – წამოდგა დირექტორიც.

დარომ აპოლონს აჰხედა და სათქმელი თვალებით გააგებინა.

– თუმცაა. – წაიბორძიკა აპოლონმა და ისევ ჩამოჯდა.

დაროც მიეშველა:

– თქვენ დარჩით. ნუ შესწუხდებით.

მარინემ მავთულის კალათა აიღო და გავიდა. კიბეზე რომ ჩაბაკუნდა, უცებ მოაგონდა:

„მართლა, ფული"?

და ფეხაკრეფით გამობრუნდა. რად აიკრიფა ფეხი, რად მოიპარებოდა ქურდივით, თვითონაც არ ესმოდა. ბნელ ტალანში შემოიპარა და კარებთან შესდგა.

მარინე რომ გავიდა, დარო წამოდგა და მაგიდას დაეყრდნო. ეხლა ის ჰგავდა ციხისთავს, რომელიც სანგარში აშოტილიყო. წამოდგა და აპოლონს სუსხი გადაასხა:

– ამ ოთახში რა გნებავთ?

აპოლონმა ზურგი და მუხლები ძლივს გაისწორა და პასუხის ნაცვლად თვითონვე ჰკითხა:

– მითხარი... ჩქარა მითხარი, ვისი შვილია მარინე, ჩემი თუ იმისი?

აპოლონს მარინე უყვარს და ამიტომ ვერც დაივიწყებს, ვერც დაანებებს.

– არასოდეს! არასოდეს მეთქი!

– გეუბნები, ეხლავე დასწერე მეთქი წერილი, თორემ...

და დედის ხმაში მძლავრი მუქარა მოისმა.

– თორემ? თორემ რაო?

– თორემ... არ გესმის, განა! მაშ გეტყვი: მარინე დღესვე გაიგებს სტავროპოლის ამბავს და... ხომ მიმიხვდი?

ჰოი, სასტიკო დედაკაცო! ეს რა იარაღი იხმარე! აქედან როგორ მოუარე მოპირდაპირეს! როგორ აისხლიტოს რაპოლიძემ ეს გესლიანი ისარი?

– დედა დააჭკრივო, შვილი დაამბლო და და „იმის" სახელიც ვერ ახსნა.

– იმისი.

და ამ სიტყვაში დირექტორს წრფელი კილო მოესმა.

– მართლა?.. მართალს ამბობ?

– მართალს ვამბობ. მერმე?

აპოლონმა ისე ამოიხვნეშა, თითქო გულიდან მუხრუჭები მოიგლიჯაო. გაიღიმა და პირისახე გაუბრწყინდა. მერმე მუხლები მოსწყდა. გაცვეთილ სავარძელში ჩაწვა და ხელსახოცით ცივი ოფლი მოიწმინდა.

– მერმე? – ისეთივე კილოთი განუმეორა დარომ, როგორც აპოლონი ელაპარაკებოდა იმას ექვსი წლის წინათ... იქ, სტავროპოლში, სასტუმროს ოთახში. – მერმე? რა გნებავთ?

– დაიცა, დარო, დაიცა. რამდენი წლისაა მარინე?

– თვრამეტისაც არ შესრულებულა. იანგარიშეთ.

აპოლონს მარინეს სიტყვები გაახსენდა: „მალე თვრამეტისა შევსრულდებიო". მაინც გონება მოიკრიფა, თითები მოიშველია და ძლივს დასთვალა. ისევ გაიღიმა და მორჩილი ხმით სთქვა:

– მართალია. მაგრამ ესეც მითხარი: რად მომწერე კატორღაში, შენგან ქალი მეყოლაო?

დაროს სევდის ნაოჭებმა გადაჰკრეს:

– მიზეზი ვერ გაიგეთ?

– ვერა, ვერ გავიგე.

– არც ახლა გესმით?

– არა, არ მესმის.

– არც არის საჭირო. ვერც გაიგებთ.

– ეხლა ისიც მესმის... იქ, სტავროპოლში რომ მოინდომე ჩემი მოტყუება. მარწმუნებდი, მარინე შენი ქალიაო.

– დაწყნარდით. აკი ვერ მოგატყუეთ. მაშინ თქვენ გაიმარჯვეთ. თქვენ მაშინ დაიჯერეთ, ვითომ მარინე თქვენი ქალი ყოფილიყო, მაგრამ მაინც თქვენი გაიტანეთ. ისევ მე დავრჩი შერცხვენილი.

აპოლონი წამოიჭრა და ადუღდა:

– ეს დედაკაცი ვერასოდეს ვერ გაიგებს მოვალეობას. მე მოვალე ვიყავი! გესმის, რას ნიშნავს ეს სიტყვა? მოვალე ვიყავი მეთქი, მო-ვა-ლე! მო-ვა-ლე!

– ვერც მაშინ გავიგე, არც ეხლა მესმის. მესამედ გეკითხებით, ეხლა რა გნებავთ?

აპოლონ რაპოლიძე მესამედ წაიქცა. ისევ შუბლი მოიწმინდა და წაილუღლუღა:

– მიყვარს მარინე, მიყვარს.

– ისე გიყვარს, როგორც მე გიყვარდი, არა?

აპოლონი ამ სიტყვამ გამოაცოცხლა. კვლავ წამოიჭრა და აბუტბუტდა:

– ეგრე, დარო, ეგრე. ისე მიყვარს, როგორც შენ მიყვარდი.

– ისე მძლავრად, როგორც მაშინ... იქ... სტავროპოლში რომ გიყვარდი, არა?

დირექტორს ერთხელ კიდევ მოსწყდა მუხლები და ხმა:

– რას ჩააცივდი, ქალო, იმ ოხერ სტავროპოლს?

ეხლა დაროს ეცვა ქშრივისა და დედის მძიმე ჯაჭვი.

მკაცრი, დაუნდობელი და ალესილი იყო, ვითარცა აფთარი, რომელსაც ბოკვერს არჩევენ.

– სტავროპოლს რად ჩავაცივდი? არ მოგწონთ?

– რად დაუმალე მაშინ მარინეს ჩემი გვარი და სახელი?

– ეგ ჩემი ბრალია. სასჯელიც სასტიკი მივიღე. მე რომ ადრევე მეთქვა მარინესთვის თქვენი ვინაობა, ეს საზარელი შეხვედრაც არ მოხდებოდა. მაგრამ გავათაოთ. საცაა მარინე დაბრუნდება.

– როგორ გავათაოთ? რა გინდა ჩემგან?

– ეხლავე დასწერე წერილი და წადი. წადი და აღარ დაბრუნდე.

რაპოლიძე ერთხელ კიდევ წამოიჭრა.

– რაო? აპოლონმა მარინეს თავი უნდა დაანებოს?! დაივიწყოს?! არა, ამას დარო ვერ მოესწრება! მერმე მოკლულის ქალი შეირთო?! – აღარ ინდომებს გახელებული დარო.

კარების უკან სუსტი კვნესა მოისმა. მაგრამ ბრძოლით გაფიცხებულებმა ის ხმა ვერ გაიგეს.

მაშ რაპოლიძემ იარაღი უნდა დაჰყაროს! უნდა დაჰნებდეს, ვითომ გამოელია იარაღი! არა, აპოლონი ეგრე ადვილად არ დასთმობს.

– თუ ეგრეა, თუ ჩემი ამბავი უთხარი, იქ შენიც დაუმატე. – ესროლა აპოლონმა.

– რა დავუმატო? თქვენი დანიშნული რომ ვიყავი?

– დანიშნული კი არა, ჩემი საყვარელი იყავი, საყვარელი!

კარების უკან ერთხელ კიდევ გაისმა ამონაკვნესი.

დარომ აპოლონის ნასროლი აიცდინა:

– ვეტყვი, მაგასაც ვეტყვი. ერთმანეთი გვიყვარდა მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ უნდა დავქორწინებულიყავით. ერთხელ მოხდა... ადრე მოხდა. მერე რაო! იმედი ნუ გაქვთ. მარინე ქალია და ქალისას ადვილად გაიგებს და მაპატიებს. ვეტყვი, უეჭველად ვეტყვი. არაფერს არ დავუმალავ.

უცებ აპოლონი გაიბადრა. არა, არ გამოჰლევია რაპოლიძეს ბრძოლის იარაღი! ერთი ისეთი ყუმბარა აქვს მომარჯვებული, რომ...

– დარო, გირჩევ მაგ საქმეზე ხელი აიღო და სამუდამოდ დამუნჯდე. – დინჯად ეუბნება სიძე. – თორემ შენს ქალს შენვე მოჰკლავ. – და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: – ყოველივე გათავებულია... იქ, მცხეთაში, დღეს მოხდა... უკვე ყოველივე მოხდა.

და ამ სიტყვამ მართლა ყუმბარასავით იფეთქა.

დედამ დაჭრილივით დაიგმინა.

იმავე წამს კარების უკან ვიღაცამ შეჰკივლა და რაღაცამ ბრახუნი მოიღო.

ორივენი ხმის ამოუღებლივ კარებს ეცნენ.

ტალანში მარინე პირაღმა გაშოტილიყო და ორივე ხელი ჯვარცმულივით გაეშალნა.

* * *

– ...ეს იყო და ეს, ჩემო მარინე. – დაასრულა დედამ თავისი ამბავი. – ყოველივე გიამბე. არაფერი არ დაგიმალე. ეხლა შენ იცი, ქალმა ქალისა უნდა გაიგოს. თუ დავაშავე რამე, გამამტყუნე.

რიქრაჟმა მოატანა. ექიმი ნაშუაღამევს წავიდა და დაროს დაბარა: ავადმყოფს სრული მშვიდობა მიეცითო. მაგრამ გონსმოსულმა მარინემ ვერ მოისვენა, სანამ დარომ ყოველივე დაწვრილებით არ უამბო.

– თუ დავაშავე რამე, გამამტყუნე – დუმილის შემდეგ იმეორებს დარო და განაჩენს ელის.

მარინე დედას მოდუნებული ტუჩებით ხელებს უკოცნის და დაცარიელებულ თავს ძლივს აქნევს.

არა, დედილო, არა. შენ ბრალი არა გაქვს. ან როგორ უნდა გაგამტყუნოს მარინემ, რომელსაც დღეს შენივე ამბავი დაემართა. მარინე არც ეძებს დამნაშავეს. ბედმა თუ განგებამ თავისებურად დაატრიალა ბორბალი და მარინე ქვეშ მოიყოლა.

ორივენი ობლებივით სტირიან, – უხმოდ და თბილი ცრემლით.

– დაივიწყე, გენაცვალოს დედა. დაივიწყე ყველანი და ყველაფერი. – ურჩევს ბოლოს დარო.

ჰო, დედილო, ჰო. მარინე ყოველივეს დაივიწყებს, ხსოვნას ხუფს დახურავს და „იმას" გულიდან ამოიგლეჯს.

– მაშ დაიძინე, გენაცვალოს დარო, დაიძინე.

კეთილი, დედილო, კეთილი. მარინე ეხლავე დაიძინებს. წადი, შენც დაწექი.

მამლებმა მესამედ იყივლეს.

– დავიძინოთ... ორივემ დევიძინოთ.

და მარინე თვალებს ხუჭავს.

ათი წუთის შემდეგ დარო ფშვინავს.

„დაივიწყე, გენაცვალოს დედა, დაივიწყე. – გახურებული ლურსმანივით ჩაეჭედა მარინეს ეს სიტყვები ადუღებულ ტვინში. – ისე სთქვა, როგორც დილას: ქინძისთავი მომაწოდეო".

დედამ მაინც მართალი სთქვა: მარინემ უნდა დაივიწყოს. ყველანი და ყველაფერი უნდა დაივიწყოს: დედაც, რომელიც უჰბოროდ წინ გადაეღობა, – მაშინ გადაეღობა, როდესაც მარინე ჯერ ჩასახულიც არ იყო, უნდა დაივიწყოს დღევანდელი სირცხვილი... იქ რომ მოხდა – წარმოუდგენელი, უდიდესი და მოუნელებელი აუგი. უნდა დაივიწყოს აპოლონი, რომელმაც...

და მარინეს თავში ცეცხლი ქარიშხალი დატრიალდა.

იცის მარინემ დავიწყების ხერხი, იცის! იცის, როგორ უნდა წაიშალოს ყოველივე და ყველანი. ამას არც ფიქრი სჭირდება, არც ბრძოლა.

პერანგის ამარა და თმაგაშლილი დანიშნული უკვე დაროს საწოლთან სდგას. კედელზე პატარა კარადა ჰკიდია. იმ კარადაში პატარა შუშა სდგას. არც ჭრაჭუნი, არც სხვა რამ ხმაური.

დარო ისევ ფშვინავს.

„დაიძინე, დედი, დაიძინე... იყუჩე, გენაცვალოს შენი ერთა, იყუჩე".

მარინე ისევ თავის ლოგინში წევს და ისე ებღაუჭება პაწაწა შუშას, როგორც უკანასკნელ იმედს.

ცეცხლის ქარი გაგრიგალდა.

არც ისე ძნელია. ერთი წუთი და... მარინე ყველას და ყოველივეს დაივიწყებს. სამუდამოდ დაივიწყებს, სამუდამოდ! ცეცხლის გრიგალიც გაჰქრება და გახურებული ლურსმანიც თავისთავად ამოვარდება, დედასგან იცის. ეს წამალი ტკივილს ადუნებს და ძილსა ჰგვრის. რაღაც საზღაპრო სიზმარიც კი სცოდნია.

– „მშვიდობით, დედილო, მშვიდობით! შენც აპოლონ. თუმცა... მაგრამ მაინც მშვიდობით იყავი, მაინც!"

შუშამ იატაკზე გაიწკრიალა. დარომ ფშვინვა შესწყვიტა.

„ნუ, დედილო, ნუ! ნაადრევად ნუ გაიღვიძებ. იყუჩე, გენაცვალე, იყუჩე".

მარინეს არაფერი, მარინეს არაფერი არ ეწვის, არც სტკივა. გულზე რაღაც ეხვევა. თავი ბურანით ევსება. მთელი ტანი თბილი ნისლით ეტენება. გულიც უდუნდება და უდნება.

„ძილი... ძილი... იყუჩე. დედი, იყუჩე..."

შენც იყუჩე, მარინე ქალო!

დაიძინე, გენაცვალოს დედა შენი, დაიძინე!

დაიძინე!

* * *

ბენცი ქშენით და ხრიალით ადის ვაკის ქუჩაზე. უცებ შესდგა და გუგუნზე გადავიდა.

კიბეზე აპოლონი ისე მორბის, თითქო უკან მოსისხლე მდევარი მისდევსო. ეს არის ეხლა უთხრა მდივანმა:

– შოფურიძეს რაღაც დაემართა.

– ვინ შოფურიძეს? – და მაშინვე დაუმატა: – ჰო, მართლა...

და ერთი წუთის შემდეგ ავტოში შევარდა.

– ჩქარა, სიმონ, ჩქარა!... ვერ გაიგე? ჩქარა მეთქი!

შუა ოთახში თეთრი საწოლი სდგას. თეთრ ლოგინში გათეთრებული მარინე წევს. მხრებზე და შუბლზე დაყრილ დალალებში იმის მშვიდ პირსახეს, როგორც მუქ ჩარჩოში, არხეინად ჩასძინებია.

თავთ დედა უზის: გაქვავებული, უძრავი და ისიც გათეთრებული.

აპოლონი დაფეთებული კამეჩივით შემოიჭრა და უმალვე ისე გახევდა, თითქო შუბლით კედელს დაეჯახაო. მერმე შეტორტმანდა, ხელები გაასავსავა და ტუჩებიც ისე აალმაცუნა, თითქო თავისი გაოცება უნდა გამოეთქვაო. მაგრამ აღარაფერი სთქვა. ლასლასით მივიდა მარინეს თავთან და სკამი ააჭრაჭუნა.

დარო და აპოლონი ერთმანეთს შესცქერიან, მაგრამ თითქო ერთმანეთს ველარ სცნობენ და ვერც ხედავენ.

მერმე დირექტორმა ერთ წუთში მიმქრალი თვალები მარინეს კვერნასებურ კბილებზე გადაიტანა, რომელნიც გაცრეცილ ტუჩებიდან პაწაწინა მძივებივით ელავდნენ და ვიღაცას რაღაცას უსაყვედურებდნენ.

დირექტორმა დიდხანს იყუჩა. შემდეგ აკანკალებული ხელი ასწია და ცხედარს გაყინულ შუბლზე დაადო. მაგრამ იმავ წუთს დაროს ხელი აფთარის თათივით დასწვდა მაჯაში და შუბლს მოაშორა.

ისე შესცქერიან ერთმანეთს, თითქო ურთიერთი მხოლოდ ეხლა შენიშნეს და იცნესო. დედის პირისახეზე მკვეთრად არის ამოჭრილი შავი სიძულვილი და ავი მრისხანება, ხოლო ბრინჯაოს მოდუნებულ სახეზე უძირო სევდა, ბავშვური მორჩილება და ადამიანური ბრალი სწერია.

წითელი დირექტორი ისე გალხვა, თითქო მოვალეობის ადრინდელი ჯაჭვი ზედვე შეადნაო.

და დამდნარმა რკინამ მიმქრალ თვალებიდან ცრემლად გამოჟონა.

მერმე წამოიწია და ჩატეხილი ხერხემალი ძლივს აიტანა.

უცებ ოთხი თითით დადაბლდა. უხეში კისერი მოეღუნა, განიერი ბეჭები შეუთხელდა და მოედრიკა.

და კარებისკენ ისე წავიდა, თითქო დამდნარი რკინის ჯაჭვი და ჩაფხუტი მოშლილ ფეხებში ჩაესხაო.

კარები ისე ფრთხილად გამოაღო, თითქო ოდნავი ჭრაჭუნისაც ეშინოდაო. გამოაღო და ფეხაკრეფით გაიძურწა.

მერმე იმავ ტალანში, სადაც გუშინ იმისი დანიშნული მხურვალე ხერხით იხერხებოდა, დამბაჩამ რისხვით დაიგრიალა.

და ტვირთმოხსნილი აპოლონ რაპოლიძეც იმავ ალაგას ისე გაიშოტა, როგორც მარინე: გულაღმა და ხელგაშლით, – თითქო თვისი თავი თვითონვე ჯვარზე გააკრაო.

და იმავ წუთს მარინესაც გაცრეცილი ტუჩი ჩამოეშვა და საყვედური დაჩრდილა.

1925–26

თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ
და მაგდებენ საკირეში!
ურცხვად შვიდ-შვიდ პარასკევსა
მითვლიან მე ერთ კვირეში!

მამა-პაპის სწორ გზაზედა
სიარულსაც კი მიშლიან,
მაგიერად მათ მრუდ გზაზედ
ფიანდაზებს ფეხთ მიშლიან!

ვერ დავაგდებ ძველსა გზასა,
გინდა იყოს ეკლიანი:
ვიცი, სხვებიც მომყვებიან
ჩემებრ შავბედ-ეტლიანი!

და თუ ვინმემ გადუხვია
და გადასდგა მრუდედ ფეხი,
გაუსკდეს მას დედამიწა
და დაეცეს თავზედ მეხი!

აკაკი წერეთელი

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

## სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა დია კრებისა 1978 წლის 11 აპრილი კრების თავმჯდომარე — ნ.დუმბაძე



მ.ფოცხიშვილი – ამხანაგებო, რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკა მიიღებს ახალ კონსტიტუციას. ყველას მოგეხსენებათ, რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, საეტაპო მნიშვნელობა აქვს ერის ისტორიაში კონსტიტუციის მიღებას. კარგა ხანია გამოქვეყნდა პროექტი ახალი კონსტიტუციისა, თითქმის ყველგან იქნა საჯაროდ განხილული და გარკვეული მიზეზების გამო ქართულ მწერლობას ბოლოს უხდება საჯარო განხილვა, თუმცა გუშინ გაიმართა პრეზიდიუმის სხდომა, ჩვენ შევხვდით რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. დიდებული დღე იყო, ქართველი მწერლები ერთსულოვნად შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და ქართველ მწერალთა სახელით დიდებული სიტყვა ბრძანა, ჩვენი საერთო, ერთიანი აზრი მწერალთა კავშირისა ჩვენი კავშირის თავმჯდომარემ გრ.აბაშიძემ, თუმცა ამის შესახებ კრების მსვლელობის დროს გაირკვევა, მე ერთხელ კიდევ გესალმებით.

ქვორუმი არის, ნება მიბოძეთ კრება გახსნილად გამოვაცხადო. კრების ნორმალური მსვლელობისათვის საჭიროა დავასახელოთ თავმჯდომარე (ჯ.ჩარკვიანი – ნოდარ დუმბაძე!)

მე კენჭს ვუყრი, ვინ არის მომხრე ნ.დუმბაძე არჩეულ იქნას კრების თავმჯდომარედ? ვინ არის წინააღმდეგი? თავი ხომ არავის შეუკავებია? ამრიგად ნ.დუმბაძე ერთსულოვნად არის დასახელებული თავმჯდომარედ. გთხოვთ დაიკავოთ თავმჯდომარის ადგილი.

თავმჯდომარე – საჭიროა ავირჩიოთ მდივანი (ხმა დარბაზიდან – თინა დონჟაშვილი!)

ვინ არის მომხრე, რომ ქალბატონი თინათინი იყოს კრების მდივანი? წინააღმდეგი ხომ არავინ არის? თავი არავის შეუკავებია, მობრძანდით ქალბატონო თინა!

მეგობრებო, დღევანდელი ჩვენი კრების დღის წესრიგში არის ერთი საკითხი – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა.

ხომ არა გაქვს კიდევ სხვა რაიმე წინადადება? სხვა წინადადება არ არის. მაშინ დღის წესრიგი დამტკიცდეს.

კენჭს ვუყრი: ვინ არის მომხრე, რომ ეს დღის წესრიგი დამტკიცდეს? წინააღმდეგი არ არის, დამტკიცებულია.

რეგლამენტი?: (ხმები – არ გვინდა, ვისაც რამდენი უნდა). მოკამათეებზე (რ.ჯაფარიძე – ეს ისეთი საკითხია, ვისაც რამდენი უნდა). ათი წუთი? (რ.ჯაფარიძე – 15 წუთი) ათიდან თხუთმეტ წუთამდე. ვინ არის მომხრე? – ყველა.

სიტყვას მოხსენებისათვის ვაძლევ საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს თავმჯდომარეს გრ.აბაშიძეს, საკონსტიტუციო კომისიის წევრს.

გრ.აბაშიძე – ამხანაგებო, წელიწადზე მეტია, რაც მთელი საბჭოთა ხალხი ცხოვრობს იმ პრობლემებით, იმ საკითხებით, რომლებიც დასმული და აღძრული იყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში და ახლა კიდევ ცალკეული რესპუბლიკების კონსტიტუციაშიც. ამდენად მომხსენებელს ბევრი სალაპარაკო არა აქვს, ეს ახალი ამბავი არ არის – განხილვები, რომლებიც შარშან დაიწყო, დღემდე გრძელდება.

შესაბამისად მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია მიიღო საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ, ახლა დაიწყო შესაბამისად რესპუბლიკის კონსტიტუციების პროექტების განხილვა და უახლოეს დღეებში მოწვეულია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელიც უკვე საბოლოოდ დაამტკიცებს ჩვენს ახალს კონსტიტუციას. ეს დიდი მოვლენაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. დიდი მოვლენა იყო ჯერ კიდევ საკავშირო კონსტიტუციის განხილვა, მისი მიღება და დამტკიცება, ხოლო ცალკე რესპუბლიკების ამ კონსტიტუციების განხილვა – მიღება დიდ მოვლენად იქცა.

როცა ახალი კონსტიტუციის პროექტს ვკითხულობთ, არ შეიძლება არ აგვევსოს გული სიამაყით იმ მიღწევების გამო, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა ამ 58 წლის განმავლობაში იმ დიდი და სახელოვანი გზის გამო, რომელიც ჩვენმა რესპუბლიკამ გაიარა. ამ კონსტიტუციაში ასახულია ყველა ის გამარჯვება, ის მონაპოვარი, რომელიც ჩვენმა რესპუბლიკამ მიიღო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად და ქართული მწერლობისათვის ახლობელია ის, რომ სწორედ ამ გამარჯვებებს, ამ მიღწევებს უმღეროდა ჩვენი მწერლობა.

არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაიმე დიდი გარდატეხა, რაიმე ისეთი ძვრა ჩვენი ხალხის ცხოვრებასა და შეგნებაში, რომელიც არ ასახულიყო ქართულ მწერლობაში, ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. სწორედ ჩვენი მწერლობა წარმოადგენს ერთგვარ მხატვრულ მატიანეს იმ დიდი მიღწევებისა და დიდი გამარჯვებებისა, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა ამ სამოცი წლის მანძილზე. ამდენად ჩვენი მწერლობისათვის ეს ყველაფერი ახლობელია, სისხლხორცეულია და ქართველი მწერლების ინტერესებს იცავს.

ქართული მწერლობისათვის, გარდა ჩვენი ხალხის ეკონომიკის აღორძინების ფაქტისა, მაინც უმთავრესი არის ჩვენი კულტურის განვითარება, ჩვენი ლიტერატურის განვითარება, ჩვენი ხელოვნებისა და ჩვენი ენის განვითარებისა და შემდგომი მიღწევების ბედი ჩვენს რესპუბლიკაში.

როგორც მოგეხსენებათ, ოქტომბრის რევოლუციას, საერთოდ მთელ ამ რევოლუციურ მოძრაობას გარკვეული მსხვერპლი შესწირა ქართველმა ხალხმა და ქართველი მოწინავე ახალგაზრდობა, მოწინავე რევოლუციონერები არა მარტო იარაღით ხელში იბრძოდნენ შავბნელი ცარიზმის დასამხობად, არამედ მთელი ციმბირის გზები ქართველი ვაჟკაცების ძვლებით იყო დაფარული. ეს მსხვერპლი ქართველმა ხალხმა გაიღო იმიტომ, რომ მოეპოვებინა ეროვნული თავისუფლება, ეროვნული თვითმყოფადობისათვის მიეღწია და ქართველ ხალხს იმდენი მსხვერპლი არც ერთ ომში არ გაუღია, რამდენიც გაიღო ამ რევოლუციურ ბრძოლაში და ჩვენ მათ, ამ ბრძოლებში დაღუპულებს, სიამაყით ვიგონებთ, სიამაყით ვიგონებთ იმათ, ვინც თავი დასდეს სამსხვერპლოზე.

ამდენად, როდესაც დღეს საბჭოთა პირობებში ლაპარაკია ჩვენი ერის ბედზე, საამაყოა, რომ ქართველმა ხალხმა მიიღო ის, რითაც ჩვენ ვამაყობთ. ეს არის ჩვენი ეროვნული კულტურა, ჩვენი ენა. ამდენად ბუნებრივია ის საერთო დაინტერესება, რომელსაც ჩვენი ხალხი იჩენს კონსტიტუციის პროექტის მიმართ ამ ნაწილში და კერძოდ ქართული მწერლობის დიდი დაინტერესება. ეს ისეთი საკითხია, რომელიც მთელ ჩვენ ხალხს აღელვებს. განსაკუთრებული ყურადღება აქეთკენ არის მომართული ჩვენი ხალხისა და ბუნებრივია ქართული მწერლობა ზრუნავდეს ამ საკითხზე. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენი ბუნებრივი საარსებო იარაღი, ეს არის ქართული ენა, ქართული მწერლობა და ქართული ენა ეს არის განუყოფელი და არ შეიძლება არსებობდეს მწერალი, რომელიც უდიერად მოეპყრობა ამ საკითხს, ის არ არის მწერალი საერთოდ და ის არ არის ქართველი მწერალი.

მე მინდა, ამხანაგებო, აღვნიშნო ის ამბავი, რომ სწორედ რევოლუციის შედეგად ქართულმა მწერლობამ, ქართულმა ენამ მოიპოვა ის დიდი უფლებები, რომლებზედაც ოცნებობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები – იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ჩვენი ერის საუკეთესო შვილები, რაზედაც ოცნებობდნენ, [illegible] უკვე განხორციელებულია. ჩვენ გვაქვს ჩვენი ეროვნული სკოლა, გვაქვს უმაღლესი სასწავლებლები, სადაც არა მარტო ეროვნულ ენაზეა სწავლება, არამედ ჩვენს უძველეს ენას აღმოაჩნდა ბევრი ისეთი თვისება, რომ იგი გახდა მოქნილი და გასაოცარია, რომ დღევანდელი ტექნიკური რევოლუციის ეპოქა როგორ მიესადაგა, როგორი გამოყენებული გახდა ჩვენს უნივერსიტეტსა და სპეციალურ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, სპეციალური ტერმინოლოგიაც შეიქმნა ქართულ ენაზე და რომ შესაძლებელია უმაღლესი ტექნიკური განათლების მიღება მშობლიურ ენაზე, და რომ ამ ენას ბევრი ისეთი თვისება აღმოაჩნდა, რომ ეს უძველესი ენა ასე ცოცხალი მოსახმარი და მისადგომი გახდა ამ დიდი ტექნიკური რევოლუციის ეპოქისათვის.

ამ მხრივ ჩვენს მეცნიერებს, ჩვენს უნივერსიტეტის დამაარსებლებს ი.ჯავახიშვილის მეთაურობით, ჩვენს ენათმეცნიერებს ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვით იმაში, რომ ქართული ენა, მისი დღევანდელი მოსახმარისობა მიუყენეს იმ ახალ პირობებს, რომელსაც აყენებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეს გართულებული ეპოქა.

ასეთ პირობებში, როცა ჩვენი ენა მთავრობისაგან, სახელმწიფოსაგან განვითარებული ზრუნვითა და ყურადღებით სარგებლობს, ჩვენი ენა ვითარდება, არ ჩერდება და პირობების შესაბამისად სულ ახალ-ახალ სუნთქვას პოულობს, ეს არის ძალიან საინტერესო მოვლენა ჩვენი ენის განვითარების ისტორიაში, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ძველი ენა ჩამორჩა იმ განვითარებას, რომელსაც აყენებს ტექნიკური რევოლუციის ეპოქა.

მე რომ ვამბობ ქართული ენა არის სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების საგანი, ეს ყოველ ნაბიჯზე ჩანს ჩვენი ცხოვრებისა, მაგრამ მე მინდა განსაკუთრებით შევჩერდე უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით სწორედ ამ მომენტებზე, ჩვენი მთავრობის, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის განსაკუთრებულ ყურადღებაზე, რომელსაც ის იჩენს ჩვენი ენის განვითარებისა და მისი ბედის მიმართ.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართულ მწერლობას არასოდეს იმდენი ბეჭდვითი ორგანო არა ჰქონია, რამდენიც დღეს აქვს. ჩვენ ამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შემოგვემატა სამი მხატვრული პერიოდული ორგანო: „საუნჯე", „განთიადი" და „კრიტიკა". ფაქტიურად ეს სამი ახალი ჟურნალია, რომელთა გამოცემამ და ბეჭდვამ ბევრი სიახლე შემოიტანა ქართულ მწერლობაში.

ეს არ არის პატარა ფაქტი, რადგან სწორედ დღეს ქართული მწერლობა არა მარტო მრავალრიცხოვანია, არამედ მისი პროდუქცია საკმაოზე მეტია და ხშირად ძალზე მაღალია. ასეთ პირობებში, როცა სამი ახალი ორგანოს შემომატება ხდება, ეს არის მნიშვნელოვანი ამბავი მთელი ჩვენი ცხოვრებისათვის, ეს უპირველეს ყოვლისა არის გამოხატულება ჩვენი ენის განვითარებისათვის ზრუნვისა, რადგან ენის განვითარება ხდება ბეჭდვით ორგანოებში, წიგნებში, ნაბეჭდ პროდუქციაში და ამ ბეჭდვით ორგანოებზე ზრუნვაში გამოიხატება ზრუნვა ჩვენს მწერლებზე, ჩვენი ლიტერატურის განვითარებაზე.

მეორე დიდი ფაქტი ჩვენი ენის განვითარებისათვის ზრუნვისა, ეს გახლავთ დედა-ენის იუბილე, რომელიც ორი წლის წინ გადავიხადეთ, ეს იყო ქართველი ხალხის დიდი ზეიმი, დიდი მადლობა და დიდი სიყვარულის ქებათა-ქება, რომელიც მან მიუძღვნა დედა-ენის შემქმნელს იაკობ გოგებაშვილს და იმ წიგნს, რომელმაც რამდენიმე თაობა აღზარდა. დედა-ენა, რომელიც ბავშვმა სკოლაში მოსვლისთანავე მიიღო, ასწავლის ბავშვს სამშობლოს სიყვარულს, თავისი ენის სიყვარულს და ეს სიყვარული მიყვება მას სიკვდილამდე, რადგან იგი პირველი ნაბიჯებიდანვე ზრდის ბავშვში სამშობლოს სიყვარულს და იმ პატრიოტიზმს, რომელიც ასე უხვად ჩააქსოვა უკვდავმა იაკობ გოგებაშვილმა.

მე ეს ორი მაგალითი მოგიყვანეთ. ამას გარდა, ბევრი მაგალითი გვაქვს, თუ რა დიდ ზრუნვას იჩენს ჩვენი დედა-ენის მიმართ ჩვენი პარტია, ჩვენი ხელმძღვანელობა.

ახლა, როცა კონსტიტუციის განხილვა დაიწყო, ჩვენი ხალხი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება იმ პუნქტს, რომლებშიც არის ჩვენი ენის, ჩვენი კულტურის საკითხები. ქართული მწერლობა განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ამ საკითხს. არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს მწერალი, რომლისთვისაც ყველაზე მაღალი საოცნებო და სასიყვარულო არ იყოს თავისი მშობლიური ენა. ამდენად სრულიად ბუნებრივია ჩვენი ხალხის დაინტერესება.

პროექტი გამოქვეყნდა, ჩვენმა ხალხმა გაიცნო, მოიწონა. ჩვენ მოწმენი ვართ როგორ ხდება ეს მოწონება ამ საერთო სახალხო შეკრებებზე.

კონსტიტუციის პროექტი მოწონებულია ძირითადად, იგი გახდა ჩვენი ხალხისათვის აღმაფრთოვანებელი, მაგრამ როცა იმ პუნქტზე ვლაპარაკობთ, რომელიც ენას შეეხება, აი ამაზე გვინდა შევჩერდეთ.

მე მინდა ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ პრეისტორია ამ საკითხისა.

როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში იხილავდნენ კონსტიტუციის პროექტებს, როცა დადგა ჯერი, რომ რესპუბლიკის კონსტიტუციების პროექტები უნდა შემუშავებულიყო, დადეს ყველა არსებული კონსტიტუცია. აღმოჩნდა, რომ ის პუნქტი, რომელიც 75 ნომრით არის, მარტო ჩვენ გვქონია და სომხებს, პუნქტი, სადაც ლაპარაკია, რომ საქართველოში სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა და სომხეთში – სომხური. შემდეგ, უფრო გვიან, 1959 წელს, მიულია ეს მუხლი აზერბაიჯანს.

შეიქმნა ასეთი მდგომარეობა. რაკი ჩვენ ყველანი თანაბარი უფლებებით ვართ კონსტიტუციაში, თანაბარი საფუძვლები გვაქვს, უნდა იდენტური ყოფილიყო

გაგრძელება მე-9 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

მეორე გვერდიდან

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია, თუ ერთს ჩაუწერე, სხვამ რა დააშავა? დაისვა საკითხი, რომ ერთნაირი ყოფილიყო ყველა კონსტიტუცია მოკავშირე რესპუბლიკებისა. ამან გამოიწვია ზოგიერთი ის გართულება, რომელიც ახლა აღმოჩნდა.

აღმოჩნდა, რომ სხვა რესპუბლიკები არ არიან დაინტერესებულნი ამ პუნქტით და არავინ ეს საკითხი არ დააყენა, ჩვენი და სომხეთის გარდა.

მე ვიყავი სესიაზე მოწმე, ჩვენი ხელმძღვანელობა როგორი გულისყურით და დაჟინებით იბრძოდა მიეღწიათ ამ პუნქტის ისეთ საბოლოო ფორმულირებისათვის, რომელიც დააკმაყოფილებდა ჩვენს ხალხს. მოხდა ის, რომ სხვა რესპუბლიკები არ იყვნენ დაინტერესებული მიეღოთ ის სახე, რომელიც დღეს ამ მუხლს აქვს ჩვენს კონსტიტუციაში. ეს, მაგალითად, სომხეთისათვის სრულიად მისაღები აღმოჩნდა და იმის გამო, რაზედაც აქ ლაპარაკია სხვა ერების ენების მდგომარეობაზე, ეს საკითხი ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა საქართველოსათვის. სომხეთისათვის ეს პრობლემა არ დგას იმიტომ, რომ იქ წმინდა სომხური მოსახლეობა აბსოლუტური უმრავლესობაა. ჩვენთან რა მდგომარეობაა. ჩვენთან არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა 70 ათასი მოსახლე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ძალიან დიდი პროცენტი სომხური მოსახლეობის, ასევე რუსული მოსახლეობის, ასევე თურქული – აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობა. აი ეს სირთულეებია, რომელიც ჩვენი ისტორიული განვითარების დღემდე მოსული გზის გამო ჩვენს რესპუბლიკას დღემდე შემორჩა; მისი ეროვნული სხეული ასე დანაწევრებულია ასეთი უბნებით. ეს მოითხოვს გარკვეულ დამოკიდებულებას, რადგან საკავშირო კონსტიტუცია ყველა ხალხების უფლებებს აკანონებს, მოითხოვს ამ ხალხების უფლებები იყოს გათვალისწინებული და დაკანონებული, სხვანაირად არ შეიძლება. ქართველი ხალხი, ჩვენი უკვდავი ილია ჭავჭავაძე და სხვები არასოდეს არ ივიწყებდნენ სხვა ხალხების უფლებებს და მათ შორის იმ ხალხების უფლებებს, რომლებთანაც ჩვენ ერთად ცხოვრება გვიხდება საუკუნეების მანძილზე და არ შეიძლება არ ვიცხოვროთ ერთად, როგორც ძმებთან და ერთი ოჯახის შვილებთან. ეს სირთულეები წარმოიშვა.

ყველაზე მაქსიმუმი, რასაც მიაღწია ჩვენმა ხელმძღვანელობამ, ეს გახლავთ გამოქვეყნებული პუნქტი, მაგრამ იქ არ არის ერთი სიტყვა, რომელიც სხვანაირ აზრს აძლევდა და რომელსაც განსაკუთრებული გულისყურით ექცევა ჩვენი მოსახლეობა, განსაკუთრებით ინტელიგენცია, იქ წერია, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა. ახალ კონსტიტუციაში ეს არ სწერია, მაგრამ სამაგიეროდ იმ პუნქტში არის ერთი ფრაზა, რომელიც ერთგვარად ავსებს ამ ხარვეზს, სახელდობრ ის, რომ ქართული ენის განვითარება არის სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი და სხვა, მაგრამ ამას მოყვება ერთი პუნქტი, რომელიც ართულებს მდგომარეობას, რაც საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ქართული ენის სახელმწიფოებრივ უპირატესობას ერთგვარად ჩრდილი ადგებოდეს და ასე გამოკვეთილად არ იყოს.

რაშია საქმე, რატომ არ დარჩა სახელმწიფოებრივ ენად ქართული ენა?

ჩვენს სახელმწიფოს შემქმნელსა და დამაარსებელს ლენინს აქვს ამ საკითხზე, რომ სახელმწიფო ენა, ეს არის ბოროტებაო, არ უნდა იყოს ძალადობა და სხვა. ის გულისხმობს იმ დროს გაბატონებულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რუსული ენის მდგომარეობას, მაგრამ იმის გამო, რომ ლენინის ყველა დებულება სავალდებულოა, უხერხულად ჩათვალეს, რომ ლენინის დებულების წინააღმდეგ ჩაიწეროს, რომ რომელიმე ენა არის სახელმწიფო ენა. როგორც ყველა თქვენგანი, ისე ყველა ჩვენგანი განსაკუთრებულად ფიქრობდა აი ამ მდგომარეობაზე და არც შეიძლებოდა არ ეფიქრა ქართულ მწერლობას, რადგან ეს საკითხი არ არის ერთი და ორი დღისათვის დასმული საკითხი. ენის საკითხი არის სამარადისო, სამუდამო საკითხი ერის ცხოვრებისა და სწორედ მწერლობისათვის მისი მამულიშვილობისა და კომუნისტობის გამოცდის საკითხი იმიტომ, რომ თუ მწერალი რომელიმე ამ მოწოდებას უღალატებს – ან კომუნისტობას, ან თავის მამულიშვილობას, ან მწერლობას, ის არ შეიძლება ჩაითვალოს მწერლად.

მაგრამ ჩვენი მწერლობა სრული პასუხისმგებლობით, სრული შეგნებით მოეკიდა ამ საკითხს და ძალიან დიდი პასუხისმგებლობით, ყველა შედეგის აწონ-დაწონით, იმსჯელა ჩვენმა პრეზიდიუმმა გუშინ ამ საკითხზე.

საქმე იმაშია, რომ კონსტიტუციის განხილვასთან დაკავშირებით ბევრია გაღიზიანებული, ბევრი პროვოკატორული ამბებიც არის. ყველა ადამიანი, რომელიც უკმაყოფილო არის საბჭოთა ხელისუფლების იმ უკანასკნელი მდგომარეობის, რომელიც 5 წელიწადში შეიქმნა იმ არაჯანსაღი ატმოსფეროს გამო, გაღიზიანებული თუ შეურაცხყოფილი ადამიანების მთელი უკმაყოფილება მიმართულია აი ამ ქართული ენის გამო გამართული ჩვენი მსჯელობისაკენ, რომ რაც შეიძლება მეტი გაუგებრობა შეიტანონ და ხალხი წააქეზონ.

საქმე იმაშია, რომ ბევრი მათგანი ისეთია, რომელთაც არ წაუკითხავთ პირველი კონსტიტუცია, არც ახალი კონსტიტუცია და მხოლოდ 75-ე მუხლზე და ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. მაგრამ ჩვენი საზოგადოების ჯანსაღად მოაზროვნე დიდი ნაწილი ძალიან გულწრფელად მოეკიდა ამ საკითხს და სწორედ ამ ხალხთან უნდა ვიყოთ და შევუწყოთ ხელი რაც შეიძლება ნაკლები ემოციებით, ნაკლები გაღიზიანებით, მეტი გონიერებით, მეტი მოფიქრებით გავარკვიოთ ჩვენი ხალხი და მივაღწიოთ იმ მაქსიმუმს, რითაც ჩვენ ვართ დაინტერესებული.

ქართველ ინტელიგენციას და მით უფრო ქართველ მწერლობას ყოველთვის ჰქონდა დიდი მოვალეობა ყოფილიყო თავისი ერის, თავისი ხალხის წინამძღოლი.

ქართული მწერლობა არასოდეს არ ღალატობდა ამ მოწოდებას და დღესაც არ უღალატებს, მით უმეტეს დღეს არის ქართული მწერლობა გამოცდის წინაშე, დღეს, როცა უნდა მოახდინოს თავისი ძალების მობილიზაცია, სთქვას ის, რასაც ფიქრობს და ხელი შეუწყოს კონსტიტუციის პროექტში ისე იყოს, ისე იყოს ქართულ ენაზე ლაპარაკი, როგორც ეკადრება ჩვენი ენის დიდ სიძველეს, მის დამსახურებას, ქართველ ხალხს.

ამიტომ გუშინდელი ჩვენი პრეზიდიუმის სხდომა ძალიან მნიშვნელოვანი და სასიამოვნო იყო. არ იყო პრეზიდიუმის არც ერთი წევრი, რომელიც არ ყოფილიყო დიდად აღელვებული და დაინტერესებული ამ საკითხით და რომელსაც არ ეფიქრა თავისთავთან მარტოდ დარჩენილს, თუ რით ეშველება და რა წვლილი შეიტანოს ამ პუნქტის უკეთ ჩამოყალიბებაში.

აღმოჩნდა, რომ ჩვენ, ყველანი ერთსულოვანი ვიყავით, ყველას ერთნაირად გვაღელვებდა, ერთნაირად გვეფიქრია და როცა ვმსჯელობდით რა სახით შევსულიყავით ხელმძღვანელობასთან და დავხმარებოდით იმ საერთო ზრუნვაში, ჩვენ აღმოვჩნდით ერთსულოვანნი.

როცა ჩვენ ვსაუბრობდით კონსტიტუციის ამ მუხლზე და გამოირკვა, რომ დარჩეს პუნქტი"... სახელმწიფო ენა" – ეს შეუძლებელია. მანამდე არსებულ კონსტიტუციასთან შედარების და შეწონასწორების შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი შეუსაბამობა არის სწორედ ამ ხაზით ახალ კონსტიტუციის პროექტში. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციაში სამგზის სწერია „რესპუბლიკის ენა", სამ ადგილას გვხვდება. ეს იმასვე ნიშნავს, რაც სახელმწიფო ენაა. ჩვენ დავადექით იმ გზას, რომ ეს მომენტი გამოგვეყენებინა და ეს მოვიშველიეთ, ამაზე გავამახვილოთ ყურადღება და დავსვათ საკითხი, რომ ამის კვალობაზე იქნას დამუშავებული ეს პუნქტი.

როცა ჩვენ შევთანხმდით, რომ ერთსულოვანი ვართ, ჩამოვაყალიბეთ ეს პუნქტი. ამასთან მე დავურეკე პირველ მდივანს, რომ მიელო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი. მან დაგვიძახა, მიგვიღო, ძალიან საინტერესოდ გვესაუბრა.

ჩვენთვის სასიამოვნოა, რომ მას ჩვენზე მეტად აღელვებს ეს საკითხი. მან სთქვა, რომ მრავალი ღამე გაუთენებია ამ საკითხზე ფიქრში. და როცა ჩვენ წავუყენეთ ჩვენი პროექტი 75 მუხლის შესახებ, ძალიან გულითადად და თბილად მიიღო და აღგვითქვა, რომ სწორედ ასეთი სახე მისცეს ჩვენი კონსტიტუციის ამ პუნქტს.

თუ არის საჭირო, მე წაგიკითხავთ იმ პუნქტს, როგორ ჩამოვაყალიბეთ პრეზიდიუმში. აი ასეთი რედაქცია გავაკეთეთ ჩვენ: „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კულტურული და სხვა დაწესებულებები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ რესპუბლიკის ენაზე – ქართულ ენაზე". საქართველოს სსრ ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის განვითარებაზე" და სხვა (ტაში) (ხმა – შემდეგ, შემდეგ? მეორე ნახევარი როგორ არის?) (ხმაური).

მთავარი არის ის, რაც მე წავიკითხე.

ჩვენ ასეთი წინადადება შევიტანეთ. თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ მოვთხოვეთ მთლიანად ამოეღოთ 75-ე მუხლი, რომელიც იწვევს ძალიან დიდ მღელვარებას. (ხმა – პრივილეგიებზე რომ არის ლაპარაკი?) სწორედ ამ პუნქტის გამო, რომ პრივილეგიებზეა ლაპარაკი, ჩვენ დავაყენეთ საკითხი – იყოს თუ არა ამ სახით და იქნება მაშინ არ იყოს 75-ე პუნქტი. აღგვითქვა, რომ ყველაფერს იღონებს. მათ აქვს სხვა ვარიანტებიც. მათაც ბევრი უმუშავიათ, ჩვენს მეცნიერებს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვადასხვა წარმომადგენლებს. სწორედ ესაა მნიშვნელოვანი, რომ სახელმწიფო ენა შეიცვალოს რესპუბლიკის ენად, რომ ამას აქვს დადასტურება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში. ეს კარგად უდგება მთელს ჩვენს განწყობილებას, ფიქრსა და გონებას და თუ ეს ასე გასწორდება, დააკმაყოფილებს ჩვენს ხალხს და ამ კონსტიტუციას მისცემს იმ სახეს, რომელიც ჩვენი ხალხისათვის იქნება ყოველნაირად მისაღები (დარბაზში ხმაურია).

(თავმჯდომარე) – დაწყნარდით, გთხოვთ მოითმინოთ.

ამხანაგებო, არაფერი ასაღელვებელი არ მითქვამს. მე რას გთხოვთ, ამხანაგებო! რა თქმა უნდა, ჩვენ თავისუფალი ვართ ვილაპარაკოთ ამ საკითხზე, მაგრამ მარტო ეს მომენტი არ არის ჩვენი ცხოვრება. კონსტიტუცია გამოხატავს ჩვენი ცხოვრების მთელ სისავსეს და მოცულობას და მარტო ერთი საკითხით ნუ შემოვიფარგლებით.

მე ვფიქრობ, ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა გულისხმიერად მოექცევა ქართული მწერლობის ხმას, როგორც გუშინ მოექცა და აღგვითქვა. ჩვენ სრული დაიმედებული წამოვედით, ისეთი გულთბილი შეხვედრა იყო, რომ დიდად დაიმედებული წამოვედით და გვჯერა ჩვენი პარტია, ცენტრალური კომიტეტი ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ჩვენმა კონსტიტუციამ მიიღოს ის სახე, რომელიც იქნება ქართული მწერლობისათვის, მთელი ქართველი ხალხისათვის მისაღები, მოსაწონი და სახელმძღვანელო დიდად საყვარელი და ახლობელი დოკუმენტი.

თავმჯდომარე – სიტყვას ვაძლევ რეზო ჯაფარიძეს.

გაგრძელება იქნება

## საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვს მიემგზავრება

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ი.მენაღარიშვილი მოსკოვს გაემგზავრა, სადაც იგი მონაწილეობას მიიღებს დსთ-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში.

## თათბირი სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტში

როგორც სააგენტოს კორესპონდენტს სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის პრეს-ცენტრიდან აცნობეს, დეპარტამენტში ჩატარდა თათბირი სასაზღვრო ჯარების კომენდატურების, ცალკეული საგუშაგოებისა და სასაზღვრო რაზმების მეთაურთა მონაწილეობით, რომელზეც შეაჯამეს 1996 წელს გაწეული მუშაობა. სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის თავ-რემ გენერალ-მაიორმა ვ.ჩხეიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1996 წელს დამყარდა ურთიერთკავშირები აშშ-ს სანაპირო დაცვის დეპარტამენტთან, ასევე უკრაინის სანაპირო დაცვასთან. გერმანიის პარლამენტთან და უკრაინის ხელმძღვანელობასთან გაიმართა მოლაპარაკებები, საქართველოს სასაზღვრო ჯარების ოფიცრების აღნიშნულ ქვეყნებში სასწავლებლად გაგზავნის თაობაზე.

## საზოგადოებას «აგვისტო-1924» პრეტენზია აქვს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის არქივზე

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე საზოგადოება „აგვისტო 1924"-ის ხელმძღვანელმა პირიმზე ბელთაძემ განაცხადა, რომ მათი მიზანია საქართველოს საზოგადოება დემოკრატიული პრინციპებისაკენ მოაზედონ. კერძოდ, პ.ბელთაძე შეეხო ნოე ჟორდანიას მემკვიდრეობას, რომელიც მისივე თქმით, დეტალურად არის შესასწავლი. საზოგადოების წევრები თვლიან, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის არქივი, რომელიც ახლახანს საფრანგეთიდან პარლამენტარმა გ.შარაძემ ჩამოიტანა, აუცილებლად საზოგადოება „აგვისტო 1924"-ს უნდა გადაეცეს, რადგან, მათი განცხადებით – „ხელისუფლებისათვის, რომელმაც ერის სამართლებრივი მემკვიდრეობა უხეშად ხელყო, არქივის ჩაბარება არ შეიძლება". პ.ბელთაძის თქმით, არქივის ფლობის უფლება მხოლოდ მათ – საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის წევრთა მემკვიდრეებს აქვთ და არა იმ ადამიანთა შვილებს, რომლებიც 1921–24 წლების ინკვიზიციებს ხელმძღვანელობდნენ. მისივე განცხადებით, ასეთები მრავლად არიან დღევანდელ პარლამენტში და არქივის გაცხრილვას შეეცდებიან. (იფრინდა)

## ოსეთის დელეგაცია თბილისში

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, გუშინ დაახლოებით 15 საათისათვის ცხინვალიდან თბილისში ჩამოვიდა ოსეთის დელეგაცია ცხინვალის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალი ჩინის წარმომადგენლის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარის კონსტანტინე ძიუგაევის ხელმძღვანელობით, კ.ძიუგაევი შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარეს ზ.ჟვანიას. იგი ასევე მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა.

## დ.ღ.გ. უცვლელი რჩება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დამატებით ღირებულებაზე გადასახადის ძირითადი განაკვეთი უცვლელი დარჩება – 20%-ის დონეზე. ეს გავრცელდება ყველა საქონელზე, გარდა პურისა და ფქვილისა, რომლებიც ისევ 10%-იანი განაკვეთით დაიბეგრებიან. ხოლო ხორბალზე კვლავ შენარჩუნებული იქნება ნულოვანი განაკვეთი. მიღებულია გადაწყვეტილება დაიდოს ორმხრივი ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც სავაჭრო ოპერაციების დროს დსთ-ის ქვეყნებთან დღგ-ზე დაბეგვრა განხორციელდება დანიშნულების ადგილის პრინციპით. მოგების გადასახადი უნიფიცირებული იქნება ყველა სახის საწარმოსათვის და 20%-ს შეადგენს. შემოღებული იქნება დიფერენცირებული მიდგომა. საბაჟო გადასახადების შემთხვევაში 12%-იანი განაკვეთი გავრცელდება იმპორტირებული საქონლის უმრავლესობაზე, ხოლო 5%-იანი და ნულოვანი განაკვეთი გავრცელდება სამრეწველო საქონლის იმპორტზე, სამედიცინო საქონელზე და შეზღუდული რაოდენობის ნედლეულის იმპორტზე. (იბერია)

# ნუგზარ ფოფხაძე:
# პირველად ვამბობ საჯაროდ...

მეორე გვერდიდან

წინ მაინც არ ეპიტნავება და თავის გასამართლებლად „პრინციპულად წაიბუზღუნა", საერთოდ „არ ვიყავიო საქმის კურსში", რომ გაზეთის რედაქტორი „ასეთ რამეებს" პირველად ხომ არ აკეთებსო და...

ამას მოჰყვა სუკის ხანდაზმული თავმჯდომარის ინაურის „მამაშვილური დარიგება", ზოგიერთი ბიუროს წევრის მხრიდან „ჭკუის-სასწავლებელი ლექცია". ერთადერთი, ვინც ადგა და თქვა, რომ ცკ და მისი პროპაგანდის განყოფილება საქმის კურსში იყო და მხარს უჭერდა ამ სტატიას, გახლდათ ჩემსავით საჯიჯგნად განწირული, მაშინდელი განყოფილების გამგის მოადგილე ვაჟა გურგენიძე.

საბოლოო წერტილი ნიკოლსკიმ დასვა: რა თქმა უნდა, მხარი დაუჭირა პატიაშვილს, მოუწონა პოლიტიკური სიფხიზლე, სტატიის გამოქვეყნება შეაფასა, როგორც ჩემი უხეში პოლიტიკური შეცდომა, მაგრამ იქვე ყველა „დაამშვიდა" – გამოუსწორებელი არ გახლავთო ეს ტრაგედია. ხვალ დისიდენტების დიდი დემონსტრაცია გველის. აი, იქ გასცეს ენუქიძემ მათ პასუხიო. რაც შეეხება ფოფხაძეს, ცოტა გამოუცდელი კაცია, მომავალში გაითვალისწინებსო ამ რჩევა-დარიგებას, გაიზრდება, დავაჟკაცდება, დაბრძენდება – უჩვენოდ ნაბიჯს აღარ გადადგამსო, ახლა ვაპატიოთო და... მაინც ავირჩიოთო ცკ-ს მდივნად!

გაგახსენებთ, მეორე დღეს „26 მაისი" გახლდათ. მოეწყო გრანდიოზული მანიფესტაცია. საქართველოს უახლეს ისტორიაში იწყებოდა ახალი ეტაპი. ახლებური ცხოვრება უნდა დაეწყო ცკ-საც, მის იდეოლოგიურ სამსახურს. ეტყობა, პატიაშვილმა საჭიროდ მიიჩნია ამ გზაზე ჩემი ასეთი მრავალმნიშვნელოვანი „დალოცვა", თანაც მომცა არა მარტო „პატრიოტიზმის", არამედ პარტიული „სიფხიზლის", აპარატული თამაშის, ადამიანური და პოლიტიკური „ზნეობის" მორიგი მრავლისმეტყველი გაკვეთილიც. „მადლობის" მეტი რა მეთქმოდა...

სხვა ფაქტის გახსენებაც გსურთ?.. კეთილი!

...თვითმფრინავის გატაცების ისტორია გახსოვთ. ისიც, რომ მაშინ ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს თინა ფეტვიაშვილს – ერთ-ერთი სიკვდილმისჯილის გეგა კობახიძის ახლადშერთულ მეუღლეს. პირველად ვამბობ საჯაროდ – სასამართლო განაჩენის მიმართ ჯერ კიდევ იმხანად მქონდა ცალსახა უარყოფითი პოზიცია, რაც ცკ-ს მაშინდელ ხელმძღვანელობას და ტელევიზიაში მომუშავე კოლეგებს, ვიცი, რომ არ დავიწყებიათ. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ზოგიერთი განსასჯელის მიმართ იმდროინდელმა სსრკ-ს ტოტალურმა რეჟიმმა, საქართველოს მაშინდელი სუკის ხელმძღვანელის აქტიური ზეგავლენით, გამოიტანა ყოვლად უსაფუძვლო განაჩენი, ხოლო დანარჩენების მიმართ გამოიჩინა მეტისმეტი სისასტიკე. ამ თემაზე მომზადებული გადაცემისთვის თავის დროზე სერიოზული უსიამოვნებაც შემხვდა.

...1988 წლის ზაფხულში საზოგადოებრივი აზრი აუცილებლად თვლიდა ჰუმანური აქტის განხორციელებას მსჯავრდადებულ თ.ფეტვიაშვილის მიმართ, რომელიც უკვე რამდენიმე წელი სასჯელს იხდიდა რუსთავის ქალთა კოლონიაში. ფეტვიაშვილის დედა მიტინგზეც გამოვიდა ამ მოთხოვნით. წარმოიდგინეთ, რა ენთუზიაზმით დაუჭერდა მას მხარს ამ მიტინგების მონაწილე ათასობით ახალგაზრდა. საფუძველი ჰქონდათ, არგუმენტებს რა გამოულევდა ვინმეს, მით უმეტეს, დედას...

პატიაშვილის წინაშე იდეოლოგიური სამსახური რამდენჯერმე სვამს საკითხს ფეტვიაშვილის შეწყალების აუცილებლობის შესახებ. ადამიანურად, მორალურადაც ვალდებულნი ვართ, პოლიტიკურად მეტისმეტად საჭირო საქმეა. ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, იგი მაძლევს პრინციპულ თანხმობას, თანაც მაფრთხილებს, რომ ეს საქმე მოვაგვაროთ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. მისივე თანხმობით, მე და ვაჟა ლორთქიფანიძე – იმ დროს ცკ-ს იდეოლოგიური განყოფილების გამგე, ვხვდებით ფეტვიაშვილის დედას და ვთანხმდებით მასთან, რომ მსჯავრდადებული შეიტანს შეწყალების თხოვნას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. ისიც ვაცნობეთ, რომ იქ მხარს დაუჭერენ, რადგანაც პატიაშვილისა და ხელმძღვანელობის განწყობა აშკარად დადებითია, რომ საგანგებოდ ვეთათბირეთ მაშინდელი ძალოვანი სტრუქტურების პირველ ხელმძღვანელებს, სხვა კომპეტენტურ პირებს და ისინიც, უკლებლივ ყველანი დაგვპირდნენ აბსოლუტურ მხარდაჭერას.

წინასწარ ჩატარებული ამ მუშაობის შედეგები მოვახსენეთ პატიაშვილს. მოიწონა, კიდევ ერთხელ მხარი დაუჭირა ჩვენს პოზიციას და მითხრა, მოდი ცკ-ს ბიუროზე წამოწიე ეს თემა და იქ მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილებაო. საწინააღმდეგო რა მეთქმოდა, ნორმალურია საკითხის ასე დასმა, მით უმეტეს, ბიუროს წევრთა შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც საკმაოდ კრიტიკულად უდგებოდა ამ პრობლემას და მისდამი ასეთ „ახლებურ" მიდგომას.

...უახლოესი ბიუროს სხდომა დამთავრდა და პატიაშვილმა სთხოვა ბიუროს წევრებს და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს განმარტოება, კონფიდენციალური საკითხის განსახილველად–აი, ფოფხაძე უკვე მერამდენედ სვამს საკითხს ფეტვიაშვილის კოლონიიდან განთავისუფლების შესახებ და ვიმსჯელოთო.

დუმილი. რა თქმა უნდა, არ მომეწონა ასეთი უსიტყვო „რეაქცია", მით უმეტეს, იმათი, ვისი აზრიც, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია. მათთან ხომ არამცთუ ნასაუბრები ვარ, მხარდაჭერაც თითქოს გარანტირებული მაქვს.

ჯერ მე, შემდეგ ვ.ლორთქიფანიძემ და მისმა მოადგილემ ვაჟა გურგენიძემ დავასაბუთეთ ყოველივე, პოლიტიკურ მომენტზეც გავამახვილეთ ყურადღება, მივანიშნეთ, თუ რა მორალურ „დივიდენდებს" მოიპოვებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ვთქვით ისიც, რომ ეს ფაქტი რეალურად გზას გაუხსნის ცკ-ს გულწრფელ დიალოგს ოპოზიციასთან. გვგონია, ჩვენი არგუმენტები კედელს გაანგრევს...

არავითარი „ენთუზიაზმი". პატიაშვილი ახლა უკვე ირონიით მეუბნება; ხომ ხედავ, ვერავინ დაარწმუნე შენი არგუმენტებითო.

ამ რეპლიკის შემდეგ კი დამსწრენი „გააქტიურდნენ"–ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა გაუწიეს ამ წინადადებას. ბიუროს ზოგიერთი წევრიც აქტიურად გამოვიდა ფეტვიაშვილის შეწყალების წინააღმდეგ.

გაკვირვებული კი ვარ მათი „სალტო-მორტალეთი", მაგრამ მაინც არ ვცხრები, თანაც დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება, მე ხომ პატიაშვილთან შეთანხმებული ვარ, არამცთუ მისი მხარდაჭერის იმედი მაქვს, არამედ ველი კიდეც მის ჩვეულ „გაცხარებას"–ხომ ვიცი, როცა მას საკითხის მისეულად გადაჭრა უნდა, „მიაწვება" და თანაც როგორ?..

პატიაშვილი მართლაც გაცხარდა. ეს რა ხდება, ნუთუ არ გესმის ამ საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობაო. ეს სიბეცეა და ვწუხვარ, რომ ასეთ უპრინციპობას იჩენს და მცდარ მოსაზრებას ჯიუტად თავს გვახვევს... ცკ-ს იდეოლოგიის მდივანი და იდეოლოგიის განყოფილებაო! და გადაგვიარა, მაგრამ რა გადაგვიარა.

შეწყალებაზე უარი გვითხრეს. „გალახული" რომ დავბრუნდი ჩემს სამუშაო ოთახში, შემოვიდა ასევე კარგად „გაჯორილი" ვაჟა გურგენიძე, რომელიც ერთ-ერთი ავტორიც იყო ფეტვიაშვილის შეწყალების სასარგებლო არგუმენტაციისა. მოვიდა, გადამეხვია და მითხრა, ახლა კი ეხვდები, შენ და, საერთოდ, ჩვენ(!) რა დღეში ვართო.

...თუ ვინმესგან არ ველოდი „ფეხის დადებას", ეს აკაკი კარანაძე იყო, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ჩემი უახლოესი უფროსი მეგობარი და გულწრფელი „კრიტიკოსი", კაცი, ცნობილი თავისი კრისტალური პატიოსნებით და ზოგჯერ სიჯიუტეში გადასული პრინციპულობით, თანაც ის, ვინც თავის დროზე წინააღმდეგი იყო ასეთი სასტიკი განაჩენის გამოტანისა. მახსოვს, სხდომაზე გაოგნებულმა შევხედე. მაშინ თვალი ამარიდა, გვიან ღამით კი სახლში გამომიარა, დამამშვიდა, მისთვის უჩვეულო „ფერისცვალება" ამიხსნა და „საიდუმლოც" გამანდო: ერთი საათი მელაპარაკაო ამხანაგი ჯუმბერი, მარწმუნებდა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა დღეს-დღეობით ნაადრევია და ფოფხაძე ჯიუტად იმიტომ ითხოვს შეწყალებას, რომ ქულები უნდა დააგროვოს არაფორმალებთანო...

ერთს კიდევ დავამატებ. ორი დღის შემდეგ ფეტვიაშვილის დედა მიტინგზე გამოვიდა და ფოფხაძეს სულ „მატყუარა" და „ნაძირალა" ეძახა. ვაჟა ლორთქიფანიძეს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ამ ოჯახის ერთ-ერთ წევრთან, შეხვდა და... გაცხარების მიზეზიც ცნობილი გახდა – ოჯახს „კონფიდენციალურად" აცნობეს, რომ განხილვა კი შედგა, მაგრამ შეწყალების გადაწყვეტილება არ მიიღეს, რადგანაც მის წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრა... ფოფხაძემო(!). სტილი ნაცნობია!

...რამდენიმე ხნის შემდეგ, მომიტინგეთა ზეწოლით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ფეტვიაშვილი გაენთავისუფლებინა.

ეს მაგალითი რა მიზნით მოვიტანეთ, გასაგებია. მაგრამ იგი მეტყველებს იმაზეც, თუ როგორ „ღრმად" ვფლობდით პოლიტიკურ ვითარებას, როგორ მიჩანჩალებდით მას კუდში და როგორი დამყოლები ვიყავით მაშინ, როცა შემოგვიტევდნენ!

...და მაინც ჯიუტად ვიმეორებ: ამ პირობებშიც კი ქართული საქმე კეთდებოდა! პატიაშვილთან ერთად, მისი თანხმობით და მონაწილეობით! (ამ იმედით მივბრუნდი ცკ-ში, თორემ ის ორი ფაქტიც კი, რაც ახლა მოგახსენეთ, საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ იმ შენობაში ქუდიც რომ შეგვგდოთ, ნორმალურ კაცს იქით მაინც არ გაეხედა?!.).

ახლა მე რომ ვამტკიცო, პატიაშვილი, ფოფხაძე და „კომპანია" 1988 წლიდან ამზადებდნენ „სახელმწიფო გადატრიალებას" სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გაყვანის მიზნით-მეთქი, შეგიძლიათ პირდაპირ გიჟად გამომაცხადოთ, მაგრამ თუ ვიტყვი, რომ ეროვნული სულისკვეთება ცკ-ს მაშინდელი ხელმძღვანელობის წევრებს უფრო გამოკვეთილი ჰქონდათ, ვიდრე, თუნდაც ცკ-ს აპარატის უმრავლესობას, უმაღლესი საბჭოს თავკაცსა და მთავრობის ზოგიერთ წამყვან ფიგურას, ამაში ალალ-მართალი ვიქნები. ისევე, როგორც იმაში, რომ უნდოდა ეს თუ არა, პატიაშვილს მაინც უნდა გაეგრძელებინა წინა პერიოდში დაწყებული საქმე.

**–ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲒᲐᲥᲕᲗ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ?**

–სხვაც, მაგრამ უწინარესად სწორედ ეგ წლები, რომლებსაც უკეთ ვიცნობ, ფაქტობრივად, რადგანაც ბევრი რამ ჩემს თვალწინ ხდებოდა–ან მონაწილე ვიყავი, ან-მხილველი. სწორედ ამის გამო არ შემიძლია [illegible] რება ამას [illegible] უმნიშვნელობის გამო, [illegible] დაუნახაობა მეტისმეტად მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანს ყველას. პერსპექტივაში ეს ერის ცნობიერებისთვის არის და იქნება წამგებიანი, შეიძლება სწორ ორიენტირებსაც აგვაცდინოს...

ამას იმიტომ მივაქცევ ყურადღებას, რომ ზოგიერთები-პიროვნება თუ ჯგუფი– ადრეც და ახლაც ხშირად აცხადებენ რაღაც „მონოპოლიას" პატრიოტიზმზე. ფიქრობენ, რაკი პარტიული ფუნქციონერი იყავი ან სახელმწიფო სამსახურში თანამდებობა გეკავა, ე.ი. „მოსკოვის მარიონეტი" და ქართული საქმის „მტერი" ყოფილხარ. კატეგორიულად შევეწინააღმდეგები ამ პოზიციას. ყველა ერთ ტაფაში არ უნდა მოხრაკო! მარტო იმიტომ, რომ პოლიტიკური მოწინააღმდეგე განაქიქო და შენი ტაქტიკური ჩანაფიქრი განახორციელო, ყველაფერი არ უნდა იკადრო.

ოდესმე ამ თემაზეც მოგვიწევს სერიოზული საუბარი და მაშინ შევეცდები არგუმენტირებულად და ფაქტობრივად დავასაბუთო ეს მოსაზრება. ახლა კი სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო ის, რაც კარგად ვიცი, რაშიც დარწმუნებული ვარ, როგორც ზემოთ ვთქვი, რისი უშუალო მონაწილე და მოწმეც გახლავართ: ტოტალური რეჟიმის პირობებშიც კი, უამრავი ქართული საქმე გაკეთდა, უწინარესად და განსაკუთრებით ჩვენი კულტურის აღმავლობისათვის და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გასაძლიერებლად.

ზოგნი ეკონომიკისთვის ზრუნვას, სახალხო მეურნეობის წინსვლას ცოტა ზერელედ უცქერდნენ და როცა ეკონომიკას და ეროვნულ იდეას ერთმანეთთან აკავშირებ, ახლაც ირონიულად იღიმებიან. განა დღეს ცხადი არ არის, რომ ეკონომიკური საძირკვლის გარეშე, მარტო „ბორჯომის" იმედზე, არამცთუ რეალური დამოუკიდებლობა, ელემენტარული ეროვნული საქმის გაკეთებაც კი წარმოუდგენელია? ყველაფერს შეძლება უნდა, სახსრები, მატერიალური მხარდაჭერა...

პერსპექტივაში, სწორედ ამ წლების კონკრეტულმა საქმეებმა და შედეგებმა შეუქმნეს რეალური (!) საფუძველი უფრო დიდს, გადამწყვეტს – საბოლოო მიზნის მიღწევას.

კარგად მესმის, რომ ამ „გაბედული" განცხადების თაობაზე შემომიტევენ, ზოგიერთ ფაქტსაც „შემახსენებენ", მათ შორის „კომუნისტში" გამოქვეყნებულ პასკვილს(!) ზ.გამსახურდიას შესახებ, რომელსაც მოჰყვა პოლიტიკურად მისი „გაცოცხლება". ჯერ იმას ვაღიარებ, რომ ეს იყო „პოლიტიკური კრეტინიზმის" კლასიკური მაგალითი, რომელსაც ავტორი და რედაქცია, საბედნიეროდ, საკუთარ თავზე ვერ მიიწერენ. რატომ? ამას მოგვიანებით, ამ დიალოგშივე მოგითხრობთ, ზ.გამსახურდიასთან ურთიერთობის თაობაზე შეკითხვის პასუხში.

მზად ვარ არა მარტო ასეთ ფაქტებზე, არამედ უფრო „გლობალურ" თემაზეც დისკუსიისთვის. უბრალოდ, პირადად ჩემთვის მეტისმეტად გულსატკენია, რომ პოლემიკისას კარგი ნაკლებად გვახსენდება.

ესაუბრა
ბუბაჲ მებრელიძე



გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გვესტუმრება ახმედ დემირჯანი

პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, გუშინ სახელმწიფო მინისტრის ნ. ლეკიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა სამუშაო სხდომა, რომელზეც იმსჯელეს 1997 წლის 28 იანვარს, თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრის ახმედ დემირჯანის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე. (იფრინდა)

## პროგრამით გათვალისწინებული ამოცანები ეროვნული ბიუჯეტისათვის

1997 წლის მაკროეკონომიკური პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ამოცანებია: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები 8-10%-ის დონეზე, 12 თვის მანძილზე ინფლაციის ტემპის შემცირება 10-12%-მდე, ეროვნული ბანკის რეზერვების საერთაშორისო პოზიციის გაუმჯობესება 170 მლნ. აშშ დოლარამდე. (იბერია)

## სახაზინო თამასუქები

საქართველოში დაგეგმილია 1997 წლის პირველი ივლისიდან სახაზინო თამასუქების გამოშვება. ბაზრის შესწავლის მიზნით, ეს ოპერაციები მიმდინარე წელს 10 მლნ. ლარამდე იქნება ლიმიტირებული. (იბერია)

## ქვანახშირის შახტებს ფუნქციონირება არ განუახლებიათ

მიმდინარე წლის გასულ 10 დღეში ნავთობის მოპოვებამ საქართველოში დაახლოებით 4,8 ათასი ტონა შეადგინა, რაც 3-ჯერ აჭარბებს შარშანდელ ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

მზა პროდუქციის რეალიზაციაში არსებული პრობლემების გამო, მიმდინარე წლის იანვრის თვის პირველ დეკადაში ქვანახშირის შახტებს ფუნქციონირება არ განუახლებიათ. (იბერია)

## მიმდინარეობს მუშაობა ვალის რესტრუქტურიზაციისათვის

საქართველოს სესხის რესტრუქტურიზაციაზე მიღწეულია შეთანხმებები 5 კრედიტორთან. უახლოეს მომავალში დაიდება ხელშეკრულება რფ-სთან ვალის რესტრუქტურიზაციაზე. ჯერჯერობით არ არის დადებული ანალოგიური ხელშეკრულებები ავსტრიასთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან და ჩინეთთან. საქართველოს მთავრობა აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით. (იბერია)

● კრიტიკა

# კაჭკაჭი ვარ... კვაჭი ვარ ანუ რა უნდა ამ კაცს პარლამენტში?!

## ღია წერილი პარლამენტის წევრებს საშობაო არდადეგებზე წასაკითხად

გაზეთ „ალიას" 1996 წლის 19-20 დეკემბრის (№163) ნომერში სათაურით – „ქუჩაში არავის ვყრით", დაიბეჭდა შემდეგი ინფორმაცია:

„როგორც „ალია" იუწყებოდა, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ილია ბეგიაშვილი „ავღანელთა კავშირს" დევნილთა ოჯახის ქუჩაში გაყრას აბრალებდა. ამასთან დაკავშირებით ავღანელთა კავშირის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, პარლამენტარმა გია ჯაყელმა „ალიას" განუცხადა: „დევნილი დევდარიანების ოჯახი მერიამ ავღანელთა ოფისში დროებით შეასახლა.

ჩვენმა წევრებმა ოჯახს სხვა ფართი შესთავაზეს, მაგრამ მათ თბილისის გარეთ ცხოვრებაზე რატომღაც უარი განაცხადეს. როგორც ვატყობ, დევდარიანებს ამ ბინის პრივატიზების იმედი აქვთ. ეს ოჯახი დღეს დიდუბის რაიონში ცხოვრობს, აღრიცხვაზე კი სხვა რაიონშია. ჩვენ არავის ქუჩაში გაყრას არ ვაპირებთ, მხოლოდ კანონის ძალით ვითხოვთ, მათი საკითხი სასამართლომ გადაწყვიტოს. რაც შეეხება ბეგიაშვილის მუქარას, რომ დევნილების დასაცავად „ავღანელთა" ოფისს დაანგრევს, მგონია, მას ამის გაკეთება გაუჭირდება".

ახლა ჩვენს კანონმდებელს (პარლამენტარს) საქართველოს უზენაესი სასამართლოს დოკუმენტს მივაწვდი და მე გამიჭირდება თუ პატივსან პარლამენტარს, ჭკუანა დაინახავს:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 5 ნოემბრის №36-571 წერილი დემურ ბენდელიანს, ნანა ბენდელიანს და სხვებს:

„თქვენი საზედამხედველო საჩივრის საფუძველზე შევამოწმეთ დიდუბის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების კანონიერება, საქმეზე ავღანელთა ვეტერანთა საქართველოს კავშირის დიდუბის რაიონული ორგანიზაციის სარჩელისა გამო, თქვენს მიმართ, არასაცხოვრებელი ფართიდან გამოსახლების შესახებ.

დადგენილია, რომ ქთბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირ №142-ში მდებარე არასაუწყებო ფართობი, შედგარი სამი საცხოვრებელი ოთახისაგან, ქთბილისის მერიის განკარგულებით ირიცხებოდა ერთი ოთახი 16 კვ.მ. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების, ერთი 20 კვ.მ. ავღანელთა კავშირის, ხოლო ერთი 35 კვ.მ ფართი ოთახი დიდუბის რაიონის რუსთაველის საზოგადოების სახელზე.

როგორც ირკვევა, დემოგრაფიული და რუსთაველის საზოგადოება ფაქტიურად არ იყენებდნენ სადაო ოთახებს და დაიკავეთ თქვენ.

ქთბილისის მერიის 1995 წლის 31 მარტის განკარგულებით სადაო ოთახები გადაეცა ავღანელთა კავშირს და რადგან თქვენ ნებაყოფლობით არ გაათავისუფლეთ იგი, აღიძრა სარჩელი არასაცხოვრებელი ფართიდან თქვენი ოჯახის გამოსახლების შესახებ, რაც სასამართლოს 1996 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

საქმეში არსებული მასალებისა და სხვა მტკიცებების შესწავლით მივედით დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილება სწორია, რადგან თქვენ სადაო ოთახები დაიკავეთ ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე.

რაც შეეხება თქვენს განმარტებას, რომ ხართ ლტოლვილები და არ გაგაჩნიათ სხვა საცხოვრებელი, გაცნობებთ, რომ ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საიდანაც ხდება ლტოლვილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილება.

გარდა ამისა, აღნიშნული ორგანიზაციის განმარტებით თქვენი ოჯახის წევრები, როგორც აფხაზეთიდან დევნილნი, რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონში – სოიჯახო №0171 და სოიჯახო №0790 ბარათებში. აქვე მითითებულია არსენას ქ. №14.

ასეთ პირობებში სასამართლოს გადაწყვეტილება მიჩნეულია სწორედ და არ არსებობს მისი გაპროტესტების საფუძველი". (სტილი მთლიანად დაცულია).

* * *

დემოგრაფიული საზოგადოება მაინც აპროტესტებს!

და სანამ უზენაეს სასამართლოს მივადგებოდე, ამ „ჩვენს პარლამენტარს" გავატარებ ბერის ქურაში.

ახლა ბატონო გია ჯაყელო, ყურადღებით მოიძიეთ ეს დოკუმენტი და მითხარით: წერა-კითხვის მცოდნე რომელი ადამიანი დაგიჯერებთ, რომ „ალიას" ინფორმაციაში გამოტანილ სათაურში – „ქუჩაში არავის ვყრით" – სიმართლე სწერია!

მე საქართველოში ასეთი წერა-კითხვის უცოდინარი არავინ მგონია.

პარლამენტარი გია ჯაყელი კი ნამდვილად ამჟღავნებს ამ უცოდინრობას, თანაც უტიფრად ცრუობს.

რა უნდა ამ კაცს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში?

* * *

როგორც მკითხველი დარწმუნდა, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი არავის არაფერს აბრალებს. იგი სათანადო დოკუმენტებს ეყრდნობა და დასკვნაც იქიდან გამოაქვს.

მწერალი კაცი სანამ კალამს აიღებდეს, უმეტესწილად თემაზე და თემის სათაურზე ფიქრობს.

მეც ჩემი წერილის სათაურზე დიდხანს ვიფიქრე და პარლამენტარისაგან განსხვავებით, ნაჩქარევად არ წამომსროლია რაიმე წინდაუხედავი ფრაზა.

„კაჭკაჭი ვარ..." აქ ცხადია ბატონი გია ჯაყელი იგულისხმება.

არადა ამ „კანონმდებელს" სიმართლისმდებელი თუ არ დახვდა, სიტყვა არ შემარჩენს.

აქედან გამომდინარე, ეჭვშეუტანელი ხდება დავამტკიცო, რომ პარლამენტარი გია ჯაყელი... კაჭკაჭია.

არადა, ძალიან იოლი საქმეა!

ბატონ გია ჯაყელს მხოლოდ გაზეთი გადაეკითხავს და ვერ შეუმჩნევია „ალიას" კორესპონდენტის უნებლიე შეცდომა: დევნილი ბენდელიანების ოჯახის მაგიერ, წერია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ბატონ გრიგოლ დევდარიანის გვარი.

პარლამენტარი გია ჯაყელი საქმით რომ დაინტერესებულიყო, მაშინ ეჭვშეუტანლად გაარკვევდა, რომ ბატონი გრიგოლ დევდარიანი კი არაა დევნილი, არამედ დემურ, ნანა ბენდელიანები და სხვები.

მაგრამ...

–კაჭკაჭია ეს კაცი, და რა ქნას!

იგივე გაიმეორა, რაც ყურში მოესმა!

რა უნდა ამ კაცს საქართველოს პარლამენტში!

ამ კაცის იმედით ჩვენ აფხაზეთს ვერასოდეს დავიბრუნებთ!

* * *

არადა, კაი დიდი კვაჭიცაა!

კვაჭანტირაძე ამასთან პატარა კვაჭია!

დავაკვირდეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილს:

„დადგენილია, რომ ქთბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირ №142-ში მდებარე არასაუწყებო ფართობი შედგარი სამი საცხოვრებელი ოთახისაგან, ქთბილისის მერიის განკარგულებით ირიცხებოდა ერთი ოთახი 16 კვ.მ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების, ერთი 20 კვ.მ ავღანელთა კავშირის, ხოლო ერთი 35 კვ.მ ფართის ოთახი დიდუბის რაიონის რუსთაველის საზოგადოების სახელზე.

როგორც ირკვევა, დემოგრაფიული და რუსთაველის საზოგადოება ფაქტიურად არ იყენებდნენ სადაო ოთახებს და დაიკავეთ თქვენ.

ქთბილისის მერიის 1995 წლის 31 მარტის განკარგულებით სადავო ოთახები გადაეცა ავღანელთა კავშირს"...

ახლა ბატონ გია ჯაყელს და ავღანელთა კავშირს ორ დოკუმენტს წარვუდგენ.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს ბ-ნ ილია ბეგიაშვილს

აფხაზეთიდან დევნილ დემურ ბენდელიანის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ მე და ჩემი ოჯახი რვა სულის შემადგენლობით, სოხუმის დაცემის შემდეგ მოვხვდით ქთბილისში. უსახლკაროდ დარჩენილებმა თქვენი საზოგადოებისა და რუსთაველის საზოგადოების ნებართვით დავიკავეთ დ. აღმაშენებლის 142-ის ორი ოთახი 1993 წლის ოქტომბრის თვეში, შესაბამისად 16 კვ.მ და 35 კვ.მ ფართზე.

1995 წლის დიდუბის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით ავღანელთა კავშირი გვიპირებს გამოსახლებას. გთხოვთ მიიღოთ ზომები და გაგვიწიოთ დახმარება.

მეორე დოკუმენტით რუსთაველის საზოგადოება თავის 01-04/33 5.07.96 წ. დათარიღებულ წერილში ქთბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ დავით კალმახელიძეს მიმართავს:

„1990 წელს დიდუბის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით აღმასკომის შენობაში (აღმაშენებლის 142) რუსთაველის საზოგადოების რაიონულ განყოფილებას გადაეცა სამომსახურებო ფართი 35 კვ.მ ოდენობით. 1993 წლის ოქტომბერში რუსთაველის საზოგადოებამ აღნიშნული ფართი დროებით დაუთმო სოხუმიდან დევნილ ბენდელიანების ოჯახს, რადგანაც შესაბამისმა სახელმწიფო ორგანიზაციებმა ეს ოჯახი ვერ დააკმაყოფილა ფართით.

1996 წლის 9 მაისს დიდუბის რ-ს სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ბენდელიანების ოჯახის გამოსახლების თაობაზე. ოჯახს, რომელიც 7 სულისაგან შედგება, არსად სხვა თავშესაფარი არა აქვს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თამარ ბენდელიანი ფეხმძიმეა და ამ თვეში უნდა იმშობიაროს.

გთხოვთ, პროტესტით შეხვიდეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმში გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით".

ახლა გია ჯაყელი ცრუ ინფორმაციას რომ იძლევა, ხომ ცხადზე ცხადია: „დევნილი დევდარიანების (ანუ ბენდელიანების) ოჯახი მერიამ ავღანელთა ოფისში დროებით შეასახლა".

ბატონო პარლამენტარო! ეს ოთახები თქვენ არ გეკუთვნოდათ!

იგი ეკუთვნოდა საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას და რუსთაველის საზოგადოებას!

მათმა ხელმძღვანელობამაც ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება: რითაც შეგვეძლო, ისე ამოვუდექით მხარში დევნილ და გაწამებულ მოსახლეობას.

ორივე საზოგადოების ამ ბუნებრივი ნაბიჯით ისარგებლა ავღანელ ვეტერანთა კავშირმა და ჩვენი ოფისების ხელში ჩაგდება განიზრახა, თანაც უმსგავსო მეთოდით.

„როგორც ირკვევა, დემოგრაფიული და რუსთაველის საზოგადოება ფაქტიურად არ იყენებდნენ სადაო ოთახებს და დაიკავეთ თქვენ".

ბატონო გია ჯაყელო! ასეთ მამაძაღლობას ქიზიყში რასაც ეძახიან, ნუ მათქმევინებ.

ეს ოთახები სადავო კი არ იყო, არამედ განკარგულების საფუძველზე იურიდიულად ვფლობდით და ჩვენი გადაწყვეტილების საფუძველზე სრულიად კანონიერად გავუწოდეთ ხელი დევნილ მოსახლეობას.

ამაზე კეთილშობილური და მორალურად გამართლებული საქმის გარდა, რაში უნდა გამოგვეყენებინა ჩვენ და რუსთაველის საზოგადოებას ეს ოთახები, ქვეყნის ამ უკიდურესი გაჭირვების ჟამს.

თქვენსავით დომინოსა და ჯოკერის სათამაშოდ, თანაც გაწამებული ხალხის ცხვირწინ?

ცოტა სინდისის ნატამალი მაინც არ არსებობს?

* * *

„როგორც ვატყობ, დევდარიანებს (ანუ ბენდელიანებს) ამ ბინის პრივატიზების იმედი აქვთ" (გ. ჯაყელი).

ბატონი გია ჯაყელი ბევრ რამეს კარგად „ვერ ატყობს".

ხოლო როგორც მე ვატყობ და საქმის მასალებიდან ირკვევა, ბატონი გია ჯაყელი და ავღანელ ვეტერანთა კავშირი საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებისა და რუსთაველის საზოგადოების ოფისების მითვისებას აპირებენ.

წარმატებითაც.

კვაჭია ეს კაცი და მერე როგორი!

დატრიალდნენ და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებისა და რუსთაველის საზოგადოების ზურგსუკან ქალაქის მერიას გამოაცხობინეს მათთვის ესოდენ საჭირო ქთბილისის მერიის 1995 წლის 31 მარტის განკარგულება.

არადა ქალაქის მერია კი იყო ვალდებული, ჩვენც შეგვეკითხებოდა და საკითხი „ავღანელთა" ცრუ დასმის საფუძველზე არ გადაეწყვიტა.

არადა, ქალაქის მერიამ აქ დიდი შეცდომა დაუშვა.

და დგას ახლა აღფრთოვანებული პარლამენტარი გია ჯაყელი და ჩვენ გვემოძღვრავს, „ჩვენ არავის ქუჩაში გაყრას არ ვაპირებთ, მხოლოდ კანონის ძალით ვითხოვთ, მათი საკითხი სასამართლომ გადაწყვიტოს"-ო.

დიდი კვაჭია ეს გია ჯაყელი.

მაგრამ მაინც მიკვირს: რა უნდა ამ კაცს პარლამენტში. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ასეთი კვაჭი პარლამენტარები რომ გვეყოლება, იმ პარლამენტის იმედი ხალხს ექნება?

* * *

როდესაც ესა თუ ის საზოგადოება იქმნება, ალბათ, ძირითადად ორ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი:

1. რამდენად სჭირდება შენს სამშობლოს ეს საზოგადოება?

2. აქვს თუ არა რაიმე პერსპექტივა?

ამ ორგანიზაციას – „ავღანელთა კავშირს" პერსპექტივა რომ არა აქვს, ადვილი მისახვედრია, თუ საბჭოთა ჯარები კლავ არ შეიჭრნენ ავღანეთში და იმ იმპერიულ ჯარში ჩვენი ავღანელების გამოცდილება არ დასჭირდათ.

(გამოცდილება კი კარგი მიუღიათ – ავღანეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევის შემდეგ, არც ჩვენ ლტოლვილებს ინდობენ!).

რაში სჭირდება ეს საზოგადოება ჩემს სამშობლოს – რა სახელს მატებს?

და ბოლო კითხვა: ვის ინტერესებს ემსახურება მსგავსი საზოგადოებანი?

ყოველ შემთხვევაში, ჩემი სამშობლოს ინტერესებს რომ არა, ბენდელიანების მაგალითიც კმარა.

ილია ბეგიაშვილი
საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი

# ნადარეიშვილზე სანქცია გაცემულია, არძინბას კი ბატონობით ველაპარაკებით

მეოთხე გვერდიდან

გენოციდი მოეწყო ქართველი ხალხისათვის - „ვეფერებით“, ბატონობით ვიხსენიებთ. მართლმსაჯულება დუმს მისდამი და დაპატიმრების სანქციაც კი არ არის გაცემული, მაშინ, როცა ბატონ თ.ნადარეიშვილის მიმართ აფხაზმა სეპარატისტებმა დაპატიმრების სანქცია უკვე გასცეს. რატომ დუმს მართლმსაჯულება? აი, ეს არის საკითხავი. განუკითხაობაა და იმიტომ. იგი არ შეიცვლება მანამ, სანამ არ იტყვის მთელი ერი, მაგრამ საკითხავია, იტყვის კი ოდესმე? ღრმადა ვარ დარწმუნებული - იტყვის და მერე როგორ! არასოდეს ყოფილა, არ დამსხვრეულიყო მოძალადეთა ყალბი ძლიერება, არავის შერჩენია ცოდვები, რაგინდ იღბლიან ვარსკვლავზე არ იყვნენ დაბადებულნი.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ზოგიერთი გაზეთი დღეს ნამდვილად თავისუფალია და ხშირად შუქდება სხვადასხვა მოსაზრებები (ამის დასტურია თუნდაც წინამდებარე წერილიც) და თვით პარლამენტშიც შესაძლებელია განსხვავებული აზრის ხმამაღლა გამოთქმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დადგმული სპექტაკლი ყოფილა. მოვუსმინოთ ქალბატონ ლ.ღოღობერიძეს, რას ამბობს ამის შესახებ:

- „პოლიტიკაში, თეატრის მსგავსად, კულისებში ვამუშავებთ ნიუანსებს, ხოლო ამის შემდეგ ვმართავთ წარმოდგენას, შოუს ანუ საპარლამენტო სხდომას, რომელიც მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო საინტერესოდ არის დადგმული... და მას დგამს პარლამენტის თავ-რე, რომელიც შესანიშნავი რეჟისორია, რამეთუ ზედმიწევნით ფლობს რეჟისორის საიდუმლოს და კვანძებსაც მუდამ საინტერესოდ კრავს“ (გაზეთი „გაუხმაურებელი ფაქტები“ №3 1996 წ. 17 ¦ტომბერი).

ნამდვილად დააბნია ხალხი ასეთმა განმარტებებმა. დაგვექცა ჭერი და ესენი კი, თურმე სცენებს დგამენ. მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება და თუ არ ვუპატრონეთ, რანი ვიქნებით და რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?!

ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის, თუკი ქვეყანაში დამკვიდრდება ნამდვილი წესრიგი, მკაცრი კონტროლი, მომთხოვნელობა და მაღალი ზნეობა, ამის გარეშე არაფრის კეთება არ შეიძლება. ამიტომ სახვალიოდ ნუ გადავდებთ იმას, რისი გაკეთებაც დღესვე შეიძლება.

ო.აფხაზავა


ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89


## კაიფვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა




თარაზულად: 4. „არკიანი“ ბუზი, რომელსაც XV-XVI ს-ში სასროლად იყენებდნენ; 5. „ბადიანი“ სამედიცინო წიგნი; 9. ნადირი, რომელსაც „ელი“; 11. „ობიანი“ სათავსო; 12. „გიას“ მეცნიერება ცხოველთა სამყაროზე; 13. „ჯოების“ რაიონი კახეთში; 15. „მონების“ „ქალაქ-სახელმწიფო“ ევროპაში; 17. „რანთა“ სახელმწიფო აზიაში; 18. „რიოში“ დაბადებული საფრანგეთის ნავარელი მეფე; 20. მიმართულება, რომელიც ერთნაირად სჭირდებათ თვითმფრინავს და ფულს; 24. „ცივი“ მანქანა, რომელსაც ოსი არ ყიდულობს (ანეკ.); 25. „გაორებული“ მდინარე საქართველოში; 27. „გამოქლიავებული“ სახელმწიფო მცირე აზიაში; 28. „ტილიანი“ ბელადი, რომლისაც რომაელებს ეშინოდათ; 31. „ეროვნული“ ტბა ჩრ.ამერიკაში; 32. ღორების „ბაიათი“; 36. ტრამალის ქურციკი, რომელიც „შუბლის“ საწინააღმდეგოდ დაქრის (რუს.კავშ.); 39. „ეშვებიანი“ ფიცარნაგი სახრჩობელაზე ასასვლელად; 41. „ლადას“ მარკის საკონდიტრო ნაწარმი; 42. კართაგენის „ბლის“ მოყვარული მხედართმთავარი; 43. უკულტურო, ველური, ოსი „ბარბარე“; 45. „ბუების“ ქალაქი, რომელიც პამელა ანდერსონმა ძლივს გადაარჩინა (ფილმ.კავშ.); 46. „ლიას“ სახელმწიფო აპენინის ნახევარკუნძულზე.

შვეულად: 1. ჰოლივუდის ვარსკვლავი „მარსიდან“; 2. „აზიზი“ მომღერალი რუსეთის ესტრადისა; 3. ვაკელების „ეროვნული“ სასმელი; 6. „არსენას“ გუნდი ინგლისიდან; 7. „არაბით“ გაზომილი მტაცებელი ცხოველი; 8. მოსიარულე „სლავების“ ქალაქი რუსეთში; 10. სახელმწიფო, სადაც პოლონელი „პანები“ ცხოვრობენ; 14. ქართველების შტატი აშშ-ში; 16. ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ს ქალიშვილი, რომელსაც „ბია“ უყვარდა; 19. „აწონილი“ რძის ნაწარმი; 21. ხარი, რომელსაც მუხრუჭები არ უჭერდა; 22. „ჯადოქარი ქალების“ გაზეთი; 23. „გალელების“ სამუშაო იარაღი; 26. „ლალი“ საძოვარი; 27. „ნადიას“ სასიყვარულო სიმღერა; 29. „ტროპიკანკას“ გმირი გოგო, რომელსაც „სენაში“ ჭყუმპალაობა მოსწონდა; 30. აშშ-ს „ზონებად“ დაყოფილი შტატი; 33. ილუზიონისტი, რომელიც ყველაფერს „ეთანხმება“; 34. მშიერი სახელმწიფო აფრიკაში, რომელსაც „მალე“ ამოძვრება სული; 35. „პანკი“ თუთიყუში; 37. „ნაცისტური“ მეფედკურთხევის ცერემონია; 38. „ნიკას“ საყვარელი ქალი მექსიკური ტელესერიალიდან; 40. ესპანეთის „რეალური“ გუნდი; 44. „კოცნით მოსარჩენი“ ტაქსის შოფრის ავადმყოფობა (ანეკდ.).



## ლადავვორდი

თარაზულად: 1. „რუსული“ ნისლი; 4. „ბიზონების“ ძველი სახელმწიფო; 7. ქალი, რომელიც ბავშვივით ამბობს „უარს“; 9. „ირმების“ სოფელი დასავლეთ საქართველოში; 10. „შესახტომი“ ადგილი ქვანახშირის საბადოში; 11. „მჩხვლეტავი“, ხილი; 13. ჯუჯა „ლილო“; 15. „ყავის“ გადასახური მასალა; 16. „უმუშევრების თავშეყრის ადგილი; 19. „საყურებელი“ ადგილი ზღვაზე; 20. ხმა ისმის და არა ჩანს; 22. „საქონლის უშიშროების კომიტეტი“; 23. ქალაქის „ბლოკით“ გარემოცვა; 24. „ვარიას“ მოწყობილი კატასტროფა; 27. „იდიოტობის“ მიმდევრობა; 30. „მელიების“ გასათბობი; 31. „აუდიო“ ოთახი ლექციების ჩასატარებლად; 32. კაცი, რომელმაც გემი და კიდობანი „ვერ გაარჩია“; 33. „პური“, რომელსაც ადრე ყმები ჰყავდა; 34. მარად „დონზე“ მოთამაშე ფეხბურთელი; 35. „სანიტარის“ მოწინააღმდეგე სიბინძურე.

შვეულად: 1. გარყვნილი „ბილი“; 2. რუსების „რისხვა“ ვიეტნამში და ავღანეთში; 3. მსახიობი, რომელსაც ხან გვერდიდან აქანებდა, ხან ქვემოდან (ფილმ.კავშ.); 4. „ფოტომოდელების“ თოჯინა; 5. გაყოფის „ნარჩენი“; 6. იშვიათი, ძველებური „კვარი“; 8. „ლამიანი“ დროშა; 12. „ფული“, რომელიც სათევზაოდ გამოიყენება; 14. „კოსტიას“ ფირმა; 15. ამპარტავანი „ყოჩი“; 16. „ბანზე“ დასაკრავი დოლი; 17. რადიოთი „მისალები“ აპარატი; 18. „ტიპიური“ ზიზღი „თიას“ მიმართ; 21. სახელმწიფო, სადაც ბევრი „ფულია“ (ინგლ.კავშ.); 25. ვახ! „შენ“ ორი ხარ; (რუს.კავ.); 26. „არეულ-დარეული“ გაზეთი; 28. ძველებური ოქროს ფული, რომელსაც ახლა ეძებენ; 29. სამკუთხედში გავლებული „დიანა“; 31. მართალი „ლალი“.

აკაკი ცოტაძე

### წინა კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. შრომა; 6. შპალერი; 7. მაღლარი; 9. პარაპეტი; 10. კორაკანა; 11. ნიანია; 14. ახტალა; 16. ხანჯალი; 19. გომიაშვილი; 20. ამილახვარი; 22. კრიზისი; 24. იაფეტი; 26. გრაკლა; 27. გრიმიორი; 28. ნუკრიანი; 31. იზაბელა; 32. ბახტაძე; 33. სალია.

შვეულად: 2. რუპია; 3. შლამი; 4. დიასპორა; 5. ქვაჩახია; 6. შარდონე; 8. იმამატი; 11. ნიჯგორი; 12. ახტირკა; 13. სიცილია; 15. ასთონა; 17. ნაიბი; 18. ალალი; 21. მერდინი; 23. კასრაძე; 25. „იანიჩარი“; 26. გიორგაძე; 29. მახრა; 30. ებანი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444